# საქართველოს ქალი

იანვარი
1963 წ. № 1




ეროვნული ბიბლიოთეკა
645
1963
645

ეროვნული ბიბლიოთეკა



შემთხვევა მეძლევა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ საშუალებით მოვულოცო ახალი — 1963 წელი ჩვენს სახელოვან ქალებს.

საბჭოთა ქალი, ქვეყნის რომელ კუთხეშიც არ უნდა ცხოვრობდეს იგი, რა საქმიანობასაც არ უნდა ეწეოდეს — კომუნიზმის ნათელი შენობის აქტიური მშენებელია. მამაკაცის მხარდამხარ ვაჟკაცურად შრომობენ ჩვენი დები ფაბრიკა-ქარხნებში და თვალუწვდენელ მინდვრებზე, მეცნიერებისა და ხელოვნების ფრონტებზე, მაღაროებში და ჰესების მშენებლობაზე, ზრდიან კუნთმაგარ მებრძოლ თაობას.

გასული 1962 წელი ისტორიაში შევიდა, როგორც კოსმოსის ათვისების ერთერთი ნაყოფიერი წელი. ცხრა მთას იქით არ არის ის დრო, როდესაც ჩვენი ქალები კოსმოსური ფრენის უშუალო მონაწილენი გახდებიან, სამყაროს გადაუფრენენ, როგორც საყოველთაო მშვიდობისა და ბედნიერების მაუწყებლები.

დაე, ახალი — 1963 წელი ყოფილიყოს უფრო მეტი წარმატებებისა და სიხარულის მომტანი, მსოფლიოში მშვიდობის საბოლოო გამარჯვების წელი.

არასოდეს შეშფოთებულიყოს ჩვენი დედების, დების, მეგობრების გული ომზე ფიქრით.

მრავალ ახალ წელს, ძვირფასო ქალებო!

ნ. მუსხელიშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

645
1963

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1963

გილოცავთ
ახალ წელს,
მეგობრებო!

1206

— რა სიახლენი განხორციელდება ჩვენს რესპუბლიკაში ქალთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად 1963 წელს? — ამ კითხვით მიმართა ჩვენი ჟურნალის რედაქციამ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ვაჭრობის და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებს.

* * *

— ქალისთვის დედობა დიდი ბედნიერება. ჯანმრთელი, კარგი შვილი მისი უზომო სიხარულია. მხოლოდ ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია იყოს ფიზიკურად და გონებრივად ძლიერი. ჩვენ ვუფრთხილდებით და ვდარაჯობთ დედების ამ სიხარულს. როგორც ყოველთვის, 1963 წელსაც გამოვიყენებთ თანამედროვე მედიცინის უკანასკნელ მიღწევებს, ავაშენებთ საავადმყოფოებს, სამშობიარო სახლებს, ბავშვთა სანატორიუმებს, — გვითხრეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამმართველოს მუშაკებმა. 1963 წელს, თბილისში, კიროვის რაიონში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 100-საწოლიანი სამშობიარო სახლი, სათანადო აპარატურითა და იარაღებით აღჭურვილი, რომელსაც მომსახურეობას გაუწევს მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი. ლენინის რაიონში მე-8 საავადმყოფოსთან გაიხსნება 50-საწოლიანი ბავშვთა განყოფილება. ბავშვთათვის ასეთი სახის სტაციონარი ჯერ არ გვქონია. დაიწყება ბავშვთა საავადმყოფოს მშენებლობა ორჯონიკიძის რაიონში.

ქალაქებში — გორსა და ბათუმში აშენდება ბავშვთა საავადმყოფოები, ხოლო აბასთუმანში, ბაკურიანსა და ქობულეთში — 45-საწოლიანი საბავშვო სანატორიუმები.

თბილისში და რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში მოეწყობა ახალი ტიპის სარძესამზარეულოები, რომლებიც დიდად დაეხმარება დედებს ბავშვთა კვების მოწესრიგებაში. უნდა ითქვას, რომ თბილისში არსებულმა ორმა ასეთმა საცდელმა სარძესამზარეულომ დიდი პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა. ამიტომ გადაწყდა მათი რიცხვის გადიდება.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შუამდგომლობით ქალაქ გორის საკონსერვო ქარხანასთან გაიხსნება სპეციალიზებული საამქრო ბავშვთა კვების პროდუქტების დასამზადებლად. საწარმო ბავშვებისათვის სპეციალურად დააკონსერვებს საუკეთესო ხარისხის ხილსა და ბოსტნეულს. ეს მშობლებს გაუადვილებს ზამთრის პერიოდში უზრუნველყონ მოზარდები ყველა სახის ვიტამინებით.

თუ დღემდე მეტყველების დეფექტების მქონე ბავშვთათვის არ არსებობდა საბავშვო დაწესებულებანი, რასაც განსაკუთრებით განიცდიდნენ დედები, 1963 წელს თბილისში მათთვის გაიხსნება ბაგა-ბაღი და სკოლა-ინტერნატი.

ბაგა-ბაღში ბავშვები სწორ მეტყველებას ისწავლიან ერთიდან შვიდ წლამდე. შვიდი წლიდან ისინი ინტერნატში გადავლენ, სადაც ჯგუფები დეფექტების მიხედვით დაკომპლექტდება (ენაბლუობის, ენაჩლიქობის, სმენის დაქვეითების, სმენის და მეტყველების დაკლების). აქ ისინი დაეუფლებიან სხვადასხვა პროფესიებს.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განზრახული აქვს 1963 წლისათვის განახორციელოს ხელოვნური თირკმელის შექმნის პრობლემა. ცნობილია, რომ ასეთი სახის თირკმელს, ხელოვნური კაპრონისაგან დამზადებულს, უკვე იყენებენ მოსკოვში და მან შესანიშნავი შედეგი გამოიღო. წელს მას ერთდროულად გამოიყენებენ თბილისსა და კიევში. თბილისში ეს სიახლე დაინერგება რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში პროფესორ ა. გზირიშვილის ხელმძღვანელობით.

მისასალმებელია, რომ თბილისში ჩამოყალიბდა და 1963 წელს შეუდგება მუშაობას ინფარქტის საწინააღმდეგო ცენტრი, რომელიც მოწყობილია მე-7 საავადმყოფოს ბაზაზე. შექმნილია გულის კუნთის ინფარქტის საწინააღმდეგო აპარატურა.

* * *

ყოველ წელიწადს ახალ ღონისძიებებს იღებს განათლების სამინისტრო სწავლების დონის ასამაღლებლად. ამ მიზნით, წლევანდელი წლის სასწავლო გეგმაში შეტანილია მთელი რიგი ცვლილებები. თბილისში უკვე გაიხსნა ახალი ტიპის საშუალო სკოლა მათემატიკური განხრით, სადაც მე-9 კლასიდან იწყებენ მათემატიკის გაძლიერებულ სწავლებას. მათემატიკური სკოლა დაკომპლექტდა ნიჭიერი გოგონებითა და ვაჟებით სხვადასხვა სკოლებიდან. განზრახულია 1963-64 სასწავლო წლისათვის შეიქმნას საშუალო სკოლები ქიმიის, ფიზიკის და სხვა დისციპლინების გაძლიერებული სწავლებით. ეს სასწავლებლები დაეხმარება მოსწავლეებს ნიჭის გამოვლინებასა და პროფესიის სწორად არჩევაში.

# რა გვიჩვენა 1963 წელი

თუ აქამდე მხოლოდ რამდენიმე სკოლაში არსებობდა გახანგრძლივებული დღის ჯგუფები, 1963-64 სასწავლო წლისათვის ასეთი სკოლების რიცხვი გაიზრდება. ეს იქნება ინტერნატის ერთ-ერთი ტიპი, სადაც ბავშვი მთელ დღეს გაატარებს და საღამოს მხოლოდ დასაძინებლად წავა სახლში. ეს სიახლე დედებს შრომას შეუმსუბუქებს.

საწარმოო სწავლების მე-9, მე-10, მე-11 კლასებში მოსწავლე გოგონები შეისწავლიან ჭრა-კერვას, მუსიკას, ქარგვას, საბეჭდ მანქანაზე მუშაობას, სტენოგრაფიას, რაც მათ გაუადვილებს საოჯახო შრომას, აგრეთვე მისცემს პროფესიულ დაოსტატებას.

გარდა ამისა, რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში 1963 წლისათვის აშენდება საშუალო სკოლის შენობები თვითეული 880 მოსწავლისათვის და ინტერნატები — 330 მოსწავლისათვის.

* * *

ოჯახის მოწყობაზე ზრუნვა უმთავრესად დიასახლისებს უხდებათ. ისინი ყიდულობენ კვების პროდუქტებს, იძენენ შვილებისათვის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, საოჯახო ნივთებს...

ქალებს გაახარებს ჩვენს მაღაზიებში მაღალხარისხოვანი საქონლის სიუხვე.

1963 წლისათვის სახელმწიფო ვაჭრობა რესპუბლიკის სავაჭრო ქსელს 180-მდე მაღაზიით გაზრდის, გააფართოვებს ქალებისა და ბავშვების მზა ტანსაცმლის მაღაზიათა რიცხვს. გაიხსნება ოცდახუთი სპეციალიზებული და ოცდათხუთმეტი თვითმომსახურების მაღაზია. ამჟამად რესპუბლიკაში არსებობს ათი საოჯახო სამზარეულო. 1963 წლისათვის გვექნება ოცი საოჯახო სამზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეულო. მათ შორის თოთხმეტი მოეწყობა თბილისში. აგრეთვე, გაიხსნება პურ-ფუნთუშეულის, ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის ნაწარმის, თევზის, წყლისა და ნაყინის, ხილ-ბოსტნეულის და სხვა საქონლის დაახლოებით ოცი ახალი სპეციალიზებული მაღაზია.

გაიზრდება საზოგადოებრივი კვების ქსელი. აშენდება ათი კაფე-სასაუზმე, მათ შორის ოთხი საღამოს კაფე. გაიხსნება 117 საზკვების საწარმო. სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში მოეწყობა ნახევარფაბრიკატების საწარმოები. რუსთავში გაიხსნება საზკვების მსხვილი საწარმო ნახევარფაბრიკატების საამქროებით.

1963 წელს განხორციელდება საზოგადოებრივი კვების საწარმოების ნახევარფაბრიკატების საწარმოებად გადაკეთება. გაუმჯობესდება კერძების ხარისხი, უკეთ იქნება გამოყენებული მანქანა-იარაღები და მაცივრები. ხორცის, კარტოფილის, ბოსტნეულის და სხვა პროდუქტების ნახევარფაბრიკატები ძირითადად აქ დამუშავდება, და შემდეგ მაღაზიებში გაიყიდება. ეს დიასახლისებს თავიდან ააცილებს შავ საქმეს.

რესპუბლიკაში არსებობს დაახლოებით ოცი მაღაზია, რომელიც დაკვეთებს ღებულობს ტელეფონით. მაგალითად, თუ დიასახლისს არ სცალია, შეუძლია დარეკოს მაღაზიაში. მას ბინაზე მიაწვდიან შეკვეთილ საქონელს. ასეთ მიმწოდებელ მაღაზიათა რიცხვი 1963 წლისათვის საგრძნობლად გაიზრდება.

გასულ წელს სახელმწიფო ვაჭრობა კრედიტით ყიდდა ისეთ საქონელს, რომელზეც დიდია მოთხოვნილება: სარეცხ მანქანებს, საკერავ მანქანებს, მტვერსასრუტებს, მაცივრებს, ტელევიზორებს და სხვა. 1963 წელს კრედიტით გასაყიდი საქონლის ასორტიმენტი უფრო გაიზრდება, მეტი რაოდენობით გაიყიდება საოჯახო საგნები.

გაიხსნება რამდენიმე ახალი მაღაზია ფასდაკლებული საქონლით. შედარებით ნაკლებ ფასებში გაიყიდება ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საყოფაცხოვრებო საგნები და სხვა.

უფრო ფართო სახით მოეწყობა გამოფენით და ნიმუშებით ვაჭრობა „შეიკერეთ თვითონ".

ახლადდაქორწინებულთათვის ახალაშენებულ სასახლეში გაიხსნება სპეციალიზებული სალონი, გემოვნებით შერჩეული და მაღალხარისხოვანი საქონლის ასორტიმენტით.

თბილისში გარკვეულად იგრძნობა სავაჭრო ქსელის გამტარუნარიანობის არასაკმარისობა. მოსამსახურე ქალების დიდი უმრავლესობა სამუშაოდან საღამოს ბრუნდება. ამ დროს სამრეწველო და სასურსათო საქონლის მაღაზიების საგრძნობი ნაწილი დაკეტილია. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გაითვალისწინა ეს მდგომარეობა და გაახანგრძლივა მაღაზიების მუშაობის საათები.

* * *

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო გვპირდება, რომ 1963 წელს დიდ ყურადღებას მიაქცევს მაღალხარისხოვან, თანამედროვე, მოსახერხებელი საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საგნების გამოშვებას.

1963 წლისათვის დიასახლისები მიიღებენ თერმორეგულატორით აღჭურვილ ახალი ტიპის უთოს. მის პარალელურად გამოვა დასაკეცი საუთოვებელი მაგიდა, რომელიც ძალზე მოსახერხებელი იქნება სახმარად.

გათვალისწინებულია სადა, ლამაზი, ე. წ. „პოლიხლოროვინირებული მასალის" შპალერის მასობრივი გამოშვება. ეს შპალერი კარგად ირეცხება საპნითა და წყლით, ამასთან მეტად პრაქტიკულია ბინებში ჰიგიენური თვალსაზრისითაც.

მოსამსახურე ქალებს თავისუფალი დრო თითქმის არ რჩებათ. საღამოს, სამუშაოდან რომ ბრუნდებიან, სადილის თადარიგს იჭერენ, პარალელურად ოთახებს ალაგებენ. ამიტომ ისინი ყოველთვის ჩქარობენ. მათთვის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა იზრუნეს და გამოუშვეს ახალი ტიპის სახურავიანი ტაფა, რომელიც თავის ორთქლში, გაცილებით მოკლე დროში, ხარშავს კერძს.

1963 წელს მაღაზიებში გასაყიდად გამოვა მაგიდის კომბინირებული ნათურა. ეს ნათურა გამოდგება როგორც ღამით მუშაობისას, ასევე ტელეგადაცემათა საყურებლად, ვინაიდან მისი შუქი ასწორებს ტელევიზორის შუქს.

ცნობილია, რომ ძველად საქართველოში პურ-ფუნთუშეულის გამოსაცხობად ფართოდ იყენებდნენ კეცებს. მასში გამომცხვარი ნამცხვარი ძალზე გემრიელია. ოჯახურ პირობებში კერძების ხარისხის გასაუმჯობესებლად საწარმოები 1963 წელს მასობრივად გამოუშვებენ ელექტროკეცებს.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა მხატვრულ ნაკეთობათა ტრესტი, რომელიც იზრუნებს მაღალგემოვნებიან მხატვრულ ნაკეთობათა გამოშვებისათვის. ამ ტრესტის საწარმოებში მოიქსოვება ლამაზი თავშლები, შეიკერება მრავალფეროვანი ჩანთები და საფულეები, დამზადდება უკანასკნელი მოდის სამკაულები ქალებისათვის და ფუფუნების საგნები თანამედროვე ბინებისათვის.

* * *

ოცწლეულით გათვალისწინებული პირველი ბედნიერი წელი გავიდა. ახალი, 1963 წელი მეორე ბედნიერი წელი იქნება იმ დიდი ამოცანების გადაჭრის გზაზე, რაც პარტიამ ჩვენს ხალხს დაუსახა.

ირმა ჩოფიკაშვილი

# მარად იხარე!

წითელი სურო
და კურკანტელი...
ეხვევა ქარი,
დაჰქრის ფანტელი.
ნაზი ტირიფი კრთება ისევე,
სუსტი ხელებით ფიფქებს აკავებს...
ჩვენი ლეილა ახლა ისვენებს,
თრთოლვით შესცქერის ზამთრის
ვარსკვლავებს.
მხრებზე არ ისხამს მსუბუქ
ლაბადას,
არ დატრიალებს საყვარელ ბუჩქებს.
მწვანე ზაფხული ზამთარს ჩაბარდა
და თოვლქვეშ თბილი გულმკერდი
უცემს.

ნანობს გოგონა:
ზამთართან ერთად
გაყუჩებულა ხმაური ფერთა.
ნანობს გოგონა გულისტკივილით—
ჩაის ბუჩქების არ ჩანს ლივლივი.
მუხლზე ასვენებს მთრთოლვარე
თითებს,
მერე ეძახის ოცნებებს, ფიქრებს...
ვარსკვლავთა შორის თითქოს
დალანდა:
მხრებდათოვლილი მოჰქრის კალანდა.
ახალწელს უყვარს დიდი სიმღერა,
ჩონგურის სიმი, ნაზი წკირები.
მამულო!—თბილი გული გიღელავს,
მაგ შენ გულს აგრემც შევეწირებით.
შენს სასიმღეროდ,
შენს სადიდებლად
ასიათასი ხმები გვჭირდება.
რადგან შენ ცოცხლობ, რადგან შენ
ფეთქავ,
არსად, არასდროს გაგვიჭირდება.
ჩვენ ახლა ციდან ვარსკვლავებს
ვწყვეტავთ
რომ შენ მოგართვათ, მშობელო
მიწავ.

და ჩვენი ქვეყნის ციური ძმებიც
შენთვის მღეროდნენ ზეცაში
გზნებით.

ჩვენც შემოგძახით: ახალახალი
გამარჯვებათა კარი იღება,
მრავალჟამიერ, მარად იხარე,
მამულო, ჩვენი გულის სიმღერავ!

ნაზი კილასონია

ლალი ჯაფარაშვილი

# შოკოლადი „ბედნიერება“

მხატვარი ლია სვანიძე



მოთხრობა

ყოველთვის ის ხელჩანთა უჭირავს— უზომოდ დიდი. თვითონაც უზომოდ დიდია. რიგში ყველაზე ბოლოს რომ იდგეს, დახლს აქედან მაინც ვხედავ, თუმცა თვითონ დახლს ძლივს ვწვდები. სადღაც, რიგის შუაგულში გაიელვებს ორი შავი თვალი და ლოყებზე ცეცხლს წამიკიდებს; მერე ისევ მიიმალება.

დახლთან მოსული მყიდველები ჩქარობენ, ნერვიულობენ ფეხზე დგომით დაღლილ-დაქანცულები. ის ბიჭი კი ისე მშვიდად მოვა დახლთან, თითქოს მის წინ თხუთმეტი-ოცი კაცი არ გამესტუმრებინოს. ერთხანს თაროებს ათვალიერებს, მერე სწორედ იმას მოიკითხავს, რაც მაღაზიაში იმ დროს არ არის.

მომკითხოს: ძეხვი, კონსერვი, კარაქი, მაკარონი თუ ვერმიშელი, ყველი, ნაირნაირი მურაბები... ის, თითქოს ჯინზე, კითხულობს:

— შავი ხიზილალა არა გაქვთ?

— არა. — ვპასუხობ მე და თან ბრაზისგან ვსკდები. — თქვენ იქნებ გიკვირთ კიდევაც — აქ გასაბრაზებელი რა არის, კაცია და გუნებაო —ვინ ხიზილალას მოიკითხავს, ვინ კიტრის წნილსო. გამყიდველი აბა, რის გამყიდველია, რომ პასუხის მიცემაც დაეზაროსო. მართალია, პირველად არც მე ვბრაზდებოდი, მაგრამ იმ ბიჭს ეშმაკობას მივუხვდი და... ვთქვათ, დღეს ის პროდუქტი არ არის, რაც მან იკითხა. ხვალ... ხვალ შავი ხიზილალა თაროებს რომ ამძიმებდეს, ზედაც არ შეხედავს...

სამი თვეა, რაც ამ მაღაზიაში დავიწყე მუშაობა. ტექნიკუმიდან მოვედი. გული ზღვა სურვილებით მაქვს სავსე. ყველაზე მეტად კი იცით რა მინდა? — ის, რომ ყველა კმაყოფილი გავიდეს მაღაზიიდან.

ჩემს თავზე გამომიცდია: უჟმური გამყიდველისაგან შეძენილი ნივთი უჟმურ ხასიათზე მაყენებს. აგერ, შეხვალ მაღაზიაში, დაგიხვდება გამყიდველი— ჩამობღვერილი, ჩამოქუფრული, როგორც საავდრო ცა. რამეს კითხავ და პასუხი თუ გაღირსა დიდი წყალობაა, თუ არა და მეორედ შეკითხვას როგორ გაუბედავ, ისე შემოგხედავს, რომ ენა მუცელში ჩაგივარდება... ჰოდა, არ მინდა ვინმემ ჩემზე თქვას უჟმურიაო, სახეზე ზეთი ჩამოსდისო. ქალიშვილი ვარ და სწორედაც არ მინდა ვინმემ გამკილოს. ყველას თავაზიანად ვპასუხობ და ვუღიმი. ერთი კუთხიდან მეორეში მკვირცხლად დავქრივარ. არ იფიქროთ მოსაჩვენებლად ვიღიმებოდე: ახალგაზრდა ვარ, ჯან-ღონით სავსე, მიტომაც ვიღიმები და მკვირცხლად დავქრივარ.

თაროებს შორის ყოველთვის მაქვს ყვავილებით სავსე ქილა. თვალსაც უხარია და გულსაც. მყიდველთა უმრავლესობა ჩვენი უბნელებია. ბევრ მათგანს უკვე კარგად ვიცნობ. აგერ, ეს მოხუცი, ბიძია შალვაა—პენსიონერი, მაღაზიაში დილით ადრე შემოდის, რძეს ყიდულობს. შვილიშვილი ყავს, გია. სულ მასზე ლაპარაკობს—მალე წამომეზრდებაო, მაღაზიაში მას გამოვაგზავნი ხოლმეო. ის ტუჩებშეღებილი ქალი კი არ მიყვარს. რიგში დგომისას ალიაქოთი რომ არ ატეხოს, არ შეიძლება. როგორ საგულდაგულოდაც არ უნდა ამოურჩიო პროდუქტი, წუნს მაინც გამოუნახავს. ყველას ლანძღავს, ყველას ცხვირს უბზუებს. ეს გოგონა მარინეა. აქვე, მაღაზიის გვერდით ცხოვრობს. ფეხის წვერებზე შემდგარი, დახლს ამოაცილებს კულულებიან თავს, ფუნჩულა ხელს გამომიწვდის და ლითონის ფულს ააწკრიალებს. ისეთი საყვარელი ბავშვია... დეიდა ნონას მეძახის — აბა, მე რა დეიდა ვარ!

რამდენი ერთი ჩამოვთვალო. ისინი ბევრნი არიან. ზოგი პირველად შემოდის მაღაზიაში, ზოგი ვინ იცის მერამდენედ. მეც ყველას ვუღიმი, თავაზიანად ვემსახურები. ისინი: — ზოგს ეღიმება, ზოგს არა, ზოგი წვრილმანზე ჯავრობს, ბუზღუნებს. ის ბიჭი კი სულ სხვანაირია.

ამ რამდენიმე დღის წინ შოკოლადი „ბედნიერება“ მოიკითხა. შოკოლადები ნაირ-ნაირი გვაქვს: „გაზაფხული,“ „საბავშვო“, „ჩიო-ჩიო-სანი“, „დათუნია“ და კიდევ სხვა, „ბედნიერება“ კი არა მაქვს. მოიცათ, მოიცათ, გუშინ გაზეთში წავიკითხე ამ შოკოლადის შესახებ— საახალწლოდ გამოუშვაო მოსკოვის ერთ-ერთმა ფაბრიკამ. ცეცხლი მომეკიდა... ჰმ, დამიხედეთ... შოკოლადი, ალბათ, ჯერ ქარხნის ეზოს არ გამოსცილებია, ის კი მაღაზიაში კითხულობს. მე მას ვუჩვენებ ბედნიერებას! გაზეთი მაღაზიაში მივიტანე და სასწორის გვერდით დავდე. ის რომ დახლთან მოვიდა, თითქოს სხვათაშორის გაზეთს ჩავხედე და თითი მსხვილ წარწერას გავაყოლე: „ფაბრიკის ახალი პროდუქცია“. მერე თვალები ნელ-ნელა ზემოთ ავაპარე, დაიბნა, ხელჩანთა ჩაბღუჯა, ხმა ვერ ამოიღო.

—სამასი გრამი კარაქი? — მივაშველე სასწრაფოდ.

—დიახ, და ერთი „პრიმაც“. —მიპასუხა და როგორც ყოველთვის, ჩემს ხელებს კი არ დაუწყო ცქერა, არამედ სასწორის მოცახცახე ისარს. ისარი

თითქოს ჯინზე სამასთან არა და არ გაჩერდა: ხან მარჯვნივ გადაიხარა, ხან მარცხნივ. ხან მოვაკლებ კარაქის ნაჭერს, ხან მოვუმატებ. როგორც იყო, ავწონე.

ვფიქრობ ახლა აიღებს ამ კარაქს და წავა. არა, დგას და მიყურებს.

— რაიმე გნებავთ კიდევ? — თავაზიანად შევეკითხე.

—შოკოლადი „ბედნიერება“ მალე იქნება? — მეკითხება თავის მხრივ.

მე შევცბი. ამას კი აღარ მოველოდი. ეტყობა ძალზე ჯიუტი ბიჭია. თუ ასეა, არც მე ვარ ნაკლები. პასუხსაც არ გავცემ...

მეორე დღეს ის ბიჭი არ გამოჩენილა. მისი ხელჩანთით ერთი ხანშიშესული ქალი შემოვიდა და იცით რამდენხანს მიყურა?! იმ ქალს შავი ხიზილალა არ უკითხავს, არც შოკოლადი „ბედნიერება“. მარილი, ასანთი, ყველი იყიდა და ცოტა არ იყოს ცხვირაბზუებული გავიდა მაღაზიიდან.

შემდეგ ის ქალი აღარ დამინახავს. მას კი ყოველდღე ვხედავ. ახლა პაპიროსსაც ყოველდღე ყიდულობს კარაქთან ერთად... მე კვირაში ორჯერ ვიცვლი თეთრ ხალათს, დახლი და თაროები ყოველთვის დაკრიალებული მაქვს, მომხმარებელს თავაზიანად ვემსახურები და იშვიათად ვამბობ „არ არის“. თაროებს შორის კომკავშირის რაიკომიდან მიღებული სიგელია გაკრული — ჩემი პირველი ჯილდო.

იმ ბიჭმა ახალი ხელჩანთა იყიდა: ლამაზი, სპორტული ხელჩანთა. მაღაზიაში ყოველდღე შემოდის, „ბედნიერების“ შესახებ კი აღარ მეკითხება — იცის სულ მალე იქნება!

# თბილისში ჟღერავს ორღანი



1963 წელს თბილისის კონსერვატორიაში აჟღერდება „ინსტრუმენტთა მეფე“ — ორღანი. ბახი, ლისტი, გრიგი... ალბათ ასეთი იქნება საორღანო კონცერტის პირველი პროგრამა. შემსრულებელი კი...

შავთვალება, შავგვრემანი, თეთრი კაბით მიუჯდება საკრავს და დამსწრეებს ეცოდინებათ, რომ ის არის მოსკოვის კონსერვატორიის აღზრდილი, პროფესორ ლეონიდ როიზმანის ყოფილი ასპირანტი, თბილისელი ეთერ მგალობლიშვილი.

ქართველი მსმენელი მიეჩვევა ინსტრუმენტს, იგრძნობს შესრულების ოსტატობას. მას მოუნდება დაესწროს კონცერტს მეორედ, მესამედ, ყოველთვის. მას ენდომება მეტი იცოდეს ქალიშვილზე, რომელიც ჩამოვიდა მოსკოვიდან პედაგოგად და შემსრულებლად.

...ქალაქში ყინავს და სასიამოვნოა მოყუჩდე სადმე სითბოში, მოსვა ცხელი ყავა და ისაუბრო ჩვენ ორღანისტზე, რომლის შესრულების ტყვეც შეიქმენ. პროფესორი როიზმანი გასტროლიორის კონცერტის შემდეგ აფრთხილებს თავის მოწაფეებს წავიდნენ მასთან ბინაზე. მოსკოვში ყინავს, პროფესორის ოთახში კი გვიანობამდეა კამათი...

...ზამთარში დილის ექვს საათზე მაღვიძარა აღვიძებს ეთერს და შვიდისთვის ის უკვე კონსერვატორიაშია. ცარიელ შენობაში ყველა ოთახი დუმს და მალე დარბაზიდან იჭრება ორღანის ხმა.

9 საათზე ორღანი ჩუმდება და კლასებს იკავებენ ვოკალისტები, ფორტეპიანისტები, ვიოლინისტები. ეთერის ახლა შეუძლია ფორტეპიანოს მიუჯდეს და არავის შეუშალოს ხელი. ის ორი სპეციალობით ამთავრებს ასპირანტურას და იცის წუთის ფასი.

...საღამოს ეთერის ეძებს აბრამ შაცკესი. ის არის ეთერის პირველი პედაგოგი მოსკოვის კონსერვატორიაში. ეთერისთვის ეს ადამიანი ყოველთვის საინტერესოა თავისი განათლებით, დიდი შესაძლებლობით, ადამიანობით. შაცკესი იწვევს მას ერთ-ერთ ოჯახში, რომ მოისმინონ კონცერტი, ჩაწერილი ფირფიტაზე, თავის მასწავლებლის, რახმანინოვის მეგობრის, კომპოზიტორის და პიანისტის ნიკოლოზ მეტნერის შესრულებით.

ეთერი იძინებს გვიან ღამით და გასული დღეც მისთვის სავსეა მოულოდნელობებით და განცდებით.

...წინ სადიპლომო შრომაა. ეთერის გვერდით უდგას ნატაშა გურეევა, რომელიც შესანიშნავად იცნობს ორღანს და ეხმარება მას. მათი მეგობრობა მტკიცეა და არცერთს არ შეუძლია ურთმანეთოდ. ერთ-ერთი ყოველთვის ეხმარება მეორეს, როცა რეგისტრებია ჩასართავი.

...მერე ეთერი დიდ თეატრში ურეკავს ზურაბ ანჯაფარიძეს, რომელიც მის სადიპლომო კონცერტზე ორღანთან ერთად შეასრულებს ჰენდელის ორ არიას და ჩიმაკაძის სიმღერას „შენი დალალი“.

...თავისთავად ეთერის ძალიან ცოტა დრო აქვს იფიქროს თავისიანებზე, მეგობრებზე, თბილისზე. მაგრამ ის მაინც პოულობს ამ დროს და თბილისის გახსენებას ამთავრებს სურვილით: მის მშობლიურ მუსიკალურ ქალაქშიც უკრავდეს ორღანი, როგორც ეს არის მინსკში, გორკში, დონეცკში, ვილნიუსში.

...მოსკოვის ქუჩებში მეგობრის, ისიც თბილისელის ნახვა იშვიათი ამბავია და ეთერის ერთ დღეს ბედი წყალობს. მეტროს სადგურის ჩასასვლელში თბილისელი თანაკლასელები ეხვევიან ერთმანეთს და ხმამაღალი შეძახილებით გამვლელთა ყურადღებას იქცევენ. მეგობარი ყვება, რომ მიემგზავრება რიგაში და ეთერი შენატრის მას. რიგელებმა დომსკის ტაძარი საორღანო საკონცერტოდ გადააკეთეს და იქ ამ დღეებში დაუკრავენ საუკეთესო შემსრულებლები.

...ჩაიკოვსკის დარბაზში კი მისი პროფესორის კონცერტია. მსმენელების წინაშე თავდახრილი დგას როიზმანი და იღებს ოვაციას. ეთერი უყურებს მის ჭაბუკურ, არაჩვეულებრივ ცოცხალ სახეს და ენანება, რომ მალე დამთავრდება პროფესორის გაკვეთილები.

...თბილისში გატარებულმა ზაფხულმა ოდნავადაც არ გადაავიწყა მოსკოვი. ლეონიდ როიზმანი ასპირანტურადამთავრებულ ეთერს წერს, რომ ბედნიერი იქნება თუ კვლავ იხილავს მას თავის მოსწავლეთა შორის.

...საქართველოს კულტურის სამინისტრო ეთერ მგალობლიშვილს მივლინებით გზავნის მოსკოვში სპეციალიზაციისათვის. გამგზავრების წინ ეთერი დაყვება გერმანელ ოსტატებს, რომლებიც ათვალიერებენ თბილისის კონსერვატორიის დარბაზს ორღანის დასადგმელად, ისმენს მათ შენიშვნებს, გეგმებს და სჯერა, რომ 1963 წელს ამ შენობაში გაიმართება დიდი კონცერტი.

და ასეთი იქნება ის დღე:

თეთრ კაბაში გამოდის ქალიშვილი. კონცერტის პროგრამაშია მისი საყვარელი კომპოზიტორები. კონცერტის დაწყების წინ ეთერი ხედავს თავდახრილ როიზმანს, რომელიც მოწიწებით ისმენს აუდიტორიის ოვაციას. ეთერს უნდა, რომ მის აუდიტორიაში პირველი მსმენელი პროფესორი იყოს. შეხედოს გამამხნევებელ თვალებში და წაიკითხოს:

— კარგია!

**ლია კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამარ კობახიძე

# მთავარი ექიმი

მშვიდი საღამო იყო, აი ისეთი, ზაფხულობით რომ იცის ხოლმე თბილისში. მზეს თითქოს მთელი თავისი მცხუნვარება ქალაქის ქუჩებში დაეხარჯა და ქანცმილეული მიცურავდა დასავლეთისაკენ.

თამარმა ვარდებიან ლარნაკს შეავლო თვალი, მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო, წამოდგა და ფანჯარაში გაიხედა — „რა ლამაზია ჩვენი ბაღი!“ სამუშაო დღე დიდი ხანია დამთავრდა, დროა უკვე სახლში წავიდეს, მაგრამ გული არ უშვებს. აგერ მორიგე ექიმებიც მოვიდნენ, ვინ იცის ვის რა დასჭირდება. კარი ახალგაზრდა მამაკაცმა შემოაღო.

— შეიძლება?

— მობრძანდით.

— ბავშვი წამექცა! სახე დაუშავდა და თუ შეიძლება, შრატი გაუკეთეთ.

— ახლავე, მე თვითონ გამოგყვებით ქირურგიულში.

ექიმი ადგა და ახალგაზრდას გაჰყვა.

ოთახში კიდევ შემოიხედა ვიღაცამ და იკითხა — ექიმი გასულია?

მერე კარებზე გაკეთებულ მოკლე წარწერას ახედა:

„მთავარი ექიმი“ — ეწერა ფირნიშზე.

ამ წარწერას არც სხვა ახსნა ახლავს და არც განმარტება, მაგრამ ყველა, ვინც აქ შემოდის, იმედით სავსე და მშვიდი ბრუნდება უკან, რადგან ადამიანი, რომელიც ამ საპატიო თანამდებობაზეა, მთელი არსებით გრძნობს, რამდენი რამაა შეთავსებული ამ ორ მოკლე სიტყვაში...

თამარი უკან მობრუნდა და ახლა კარებში შემოგებებულ ქალს გამოჰკითხა წუხილის მიზეზი, მერე ექიმი გამოიძახა და მას დაავალა ქალს შინ გაჰყოლოდა.

მყუდრო ოთახში ტელეფონი აწკრიალდა.

— გისმენთ. დიახ, კობახიძე გახლავართ. კი ბატონო, დღეს შემოვივლით, მოვალთ და ვნახავთ თქვენს ბინას. რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ, თუ კი დახმარებაა საჭირო. კარგად ბრძანდებოდეთ.

თამარმა მოზრდილი საქაღალდე გადმოიღო, რომელშიც მშრომელთა წერილები ეწყო, მისი, როგორც დეპუტატის სახელზე მოსული, და რაღაც ჩაინიშნა.

რამდენი ფურცელია ამ საქაღალდეში, თვითეულში კი ადამიანის ბედზეა ლაპარაკი. როგორი ყურადღებიანი უნდა იყოს მათდამი! ადამიანს სიყვარულიც შეუძლია და სიძულვილიც. თუ კი მეგობრობას გაუწევ და დროზე გაუწვდი ხელს, მთას შეუცვლი ადგილს. ექიმს განსაკუთრებით მოსიყვარულე გული უნდა ჰქონდეს, რადგან ადამიანის სიცოცხლე აბარია.

თამარს რატომღაც დედა მოაგონდა: ოჯახში რვა და-ძმა იყო და დედა თვითეულ მათგანს ადამიანის სიყვარულზე ელაპარაკებოდა მუდამ. კარგად ახსოვს თამარს სამეგრელოს ნისლიანი განთიადი, შრომისმოყვარე მამა დღენიადაგ ბარსა სცემდა მიწას, ვაჟები კი მხარში ედგნენ. ასე — ადამიანისა და შრომისადმი სიყვარულში აღიზარდნენ ბავშვები.

ისევ ფიქრებმა გაიტაცა თამარი... თითქოს უცებ მოხდა ყველაფერი — თბილისში გადმოსვლა, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება. შრომისადმი სიყვარულმა სტუდენტობის დროსაც იჩინა თავი. იგი საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირში სოციალური დაზღვევის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მერე ასპირანტურაში განაგრძო სწავლა, მაგრამ მუშაობისათვის მაშინაც არ დაუნებებია თავი. სამამულო ომი რომ დაიწყო, იგი პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოვალეობას ასრულებდა.

ახსოვს, როგორ შეშფოთდა პირველი შემზარავი ცნობის გაგონებისას:

ომი!

რა დიდი უბედურება მოაქვს ადამიანებისათვის ომს! რამდენი დაობლებული ბავშვი, დაქვრივებული ქალი და ატირებული დედა ნახა თამარმა...

მერე შემზარავი ცნობა მიიღო — ქმარი დაეღუპა...

იმ დღიდან მოკიდებული თამარი სამსახურში ათენებდა და აღამებდა, რომ ფიქრებისათვის ნაკლები დრო დარჩენოდა. მერე პოლიკლინიკის ჰოსპიტალზე აიღო შეფობა. პოლიკლინიკის ექიმები თავიანთი სურვილით უსასყიდლოდ უვლიდნენ დაჭრილებს, აქვე გახსნეს სტომატოლოგიური კაბინეტი.

ომის დროს თამარი პირველი სამედიცინო დახმარების რაზმის უფროსად დანიშნეს. იგი ამზადებდა სანიტარულ აქტივს, ზრდიდა ახალგაზრდობას. ახალბედა ექიმები პროფესიულ გამოცდილებას თამარ კობახიძის ხელმძღვანელობით იძენდნენ. ბევრი მათგანი მერე დამოუკიდებლად შეუდგა მუშაობას და მიღებული გამოცდილება კარგად გამოიყენა: ალექსანდრე როზენბერგი მცხეთის რაიონს ემსახურება, კაზიმირ მეგრელიშვილი ფიზიოლოგიის დარგში მუშაობს, სიმონ ჩაჩანიძე სამხედრო ექიმია, გიორგი გეგეჭკორი კი გაგრის რაიონის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოვალეობას ასრულებს. ზოგი სად გაემგზავრა, ზოგი სად.

არაერთ მადლობას იღებენ ყოველდღიურად პოლიკლინიკის გულისხმიერი ექიმები: თამარ ჭავჭანიძე, ოლღა ხვედელიძე, აკაკი მურღულია, ნინო მირიანაშვილი... რომელი ერთი ჩამოითვალოს.

ყველაზე მოულოდნელი და სასიხარულო ამბავი მაინც მარტოხელა ავადმყოფებმა შეიტყვეს. ერთხელ ბაქრაძის ქუჩაზე მცხოვრებ პენსიონერის ბინას ახალგაზრდა ქალიშვილი მიადგა. ჯერ ფრთხილად დააკაკუნა კარზე, კარი რომ არა-



ოლღა ხვედელიძე



ექიმი ნინო მიხანაშვილი

ვინ გააღო, მან სახელურს მოსწია და ოთახში შეიხედა. საწოლზე მოხუცი ქალი იწვა, თავი ძლივს აიღო ბალიშიდან და სტუმარს უნდობლად ახედა: „ასეთმა ახალგაზრდა ექიმმა ნეტა რა უნდა გამიგოსო?“ ქალიშვილმა დასაჯდომად სკამის ძებნა დაიწყო, მაგრამ უცებ ვერ მიაგნო, რადგან აქა-იქ უადგილოდ ეყარა ნივთები, მაგიდაზე რამდენიმე დღის დაურეცხავი ჭურჭელი ეწყო.

— ფეხზე ადგომა არ შემიძლია და აბა ვინ აალაგებსო— თქვა მოხუცმა.



მთავარი ექიმი რჩევას აძლევს ავადმყოფს

— ეგ არაფერია, — დაამშვიდა სტუმარმა — ჩანთა იქვე ჩამოსდო, კაბის სახელოები აიკეცა და სახლის დალაგებას შეუდგა, მალე ისე დააწკრიალა ყველაფერი, რომ თვალს გაეხარდებოდა. მოხუცი უყურებდა და ვერაფერს მიმხვდარიყო.

— ბებო, ნუ გიკვირთ, — დაამშვიდა ქალიშვილმა,—დღეიდან არაფერი გაგიჭირდება, ჩვენთან პოლიკლინიკაში გადავწყვიტეთ, ახალგაზრდა მედიცინის დები მარტოხელა ავადმყოფებს დავეხმაროთ. თქვენ რომ ქალიშვილი გყავდეთ, მოვლას ხომ არ მოგაკლებდათ?

მოხუცს ცრემლებით აევსო თვალები და მადლობის ნიშნად ქალიშვილს თავზე ფრთხილად გადაუსვა ხელი.

— შენი სახელი მაინც მითხარი, შვილო, — სთხოვა დამშვიდობებისას მოხუცმა.

— ლილი ელბაქიძე, — უპასუხა მოსულმა და კარი ფრთხილად გაიხურა...

„ყოჩაღი გოგონები მყავს, — ფიქრობდა თამარი, — ძალიან ყოჩაღი. როგორი წამოწყებაც არ უნდა იყოს, ყველაფერს ხალისით ჰკიდებენ ხელს, ასეთებთან მუშაობაც სახალისოა და შრომაც გიადვილდება“. სწორედ ამიტომ დათანხმდნენ ყველანი, რომ პოლიკლინიკას ოცდათოხი საათის განმავლობაში ემუშავა. მორიგე ექიმებს საშუალება აქვთ არა მარტო მიიღონ ავადმყოფი, არამედ ბინაზედაც ეწვიონ მათ, რადგან პოლიკლინიკაში გადაუდებელი დახმარების მანქანები მორიგეობენ. საერთოდ კი მას სპეციალიზებული მანქანები ემსახურება.



ექიმები: ი. ოდიშარია და თ. ჭავჭანიძე ავადმყოფის ბინაზე

პოლიკლინიკის მუშაობაში ერთ-ერთი სიახლე ისაა, რომ აქვე შეიქმნა აფთიაქი და ავადმყოფები ექიმებისაგან გამოვლენ თუ არა, წამალს მაშინვე იძენენ.

პოლიკლინიკას ჰყავს აგიტატორები და სანინსპექტორები, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ. ავადმყოფები იღებენ პასუხს მათთვის საინტერესო შეკითხვებზე. ისინი კითხვა-პასუხის ყუთში აგდებენ თავიანთ წერილებს, პასუხს კი ამა თუ იმ დაავადების შესახებ კედლის გაზეთის საშუალებით კვალიფიციური ექიმები იძლევიან.

თამარი მეცნიერული მუშაობისათვისაც იცლის. მისმა საინტერესო გამოკვლევებმა სპეციალისტთა ყურადღება დაიმსახურა.

* * *

მზე კარგახანია ჩავიდა. ქუჩებს გაჩირაღდნებული ლამპიონები დაციმციმებენ. დაღლილი თამარი კიბეს მიჰყვება და ფიქრობს იმ ადამიანებზე, ვისაც ახლა ნახავს, იმათზე, ვინც წეღან დაურეკა და სახლში ელოდება.

ფიქრებში ილევა კიბე, თამარი ფრთხილად აღებს კარს და უნებურად ეღიმება, როდესაც ქალის ხმა შემოესმის:

— ნუღარ გეშინია, დედა, მთავარი ექიმი მოვიდა!

მარიკა ჩხარტიშვილი

აფთიაქში



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოგონა გორიდან



## კეთილია სოფელი

უცნაური შემოდგომა იცის იმერეთში. ფხუკიანი კაცივით უცებ შეიცვლის გუნებას. ხან წამოუშენს სეტყვასავით ცივი წვიმა, ხან აფთარივით ბდღვინვით ჩაუქროლებს წაბლიანს ქარი და ჰაერში აიტაცებს წითელ-ყვითლად დამკრახულ ფოთლებს.

ასე იყო მაშინაც. პატარა ღელე გაცოფდა და ტყის პირას ჩაყოლებული ბუჩქნარი წალეკა. აშარი ქარაშოტი აწყდებოდა ღობე-ყორეს...

— აჰუ, გულთეთრავ! — ისმის ტყეში.

გულთეთრა კი არა ჩანს თავისი დიდრონი და ჭკვიანი თვალებით.

— მოო, გულთეთრავ, — ცრემლი ახშობს ხმას.

ცა კი იცრიცება. ყორანივით ჯდება ბინდი წაბლის კენწეროზე. ქალი კვლავ მიაბოტებს ტყეში. სადღაც ასკილის ეკლებს შერჩათ შავი თავშალი. ჭაღარა ჩამოეშალა უდროოდ და ულმერთოდ დაღარულ სახეზე.

ამაოდ ჩარჩა სადღაც წებოიან ტალახში უძირო ჩუსტი, ამაოდ გაილუმპა უკუნეთში. გულთეთრა ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ახლაც არავინ იცის.

გაოგნებული მიტრიალდა შინისაკენ. მეათასეჯერ ეხერგება გზაში კუნელი და მაყვალი.

შორიდან მოჰკრა თვალი ლამპის მქრქალ, მიბნედილ სინათლეს. მიხვდა, არ ეძინათ უმამო ბავშვებს. ფრთხილად გადააბიჯა ზღურბლს. ათი ბრიალა თვალი მისჩერებოდა ილაჯგაწყვეტილ დედას...

წელმოწყვეტით აშიშინდა სველი ჩინჩხვარი ბუხარში. გობში თბილი წყალი გაჩნდა, მაგრამ აღარაფერმა უშველა დედას. საოცარმა კანკალმა აიტანა იგი, კბილიკბილს აცემინა და მერე ორივე ფილტვში ჩაუჯდა რაღაც საოცარი ჭია და ხრავს...

აბა, კეთილ კაცს რა გამოლევს ჩვენში? ანდა, ვინ იქნება სოფელზე კეთილი?! სოფელმა კალთა გადააფარა ნოზაძეების ოჯახს. ციალა და პატარა ძამიკო ხაშურში ჩაიყვანეს ბავშვთა სახლში, ხოლო დანარჩენებს თვითონ მიხედეს. კერა არ გაუციეს. ზოგი ურმით ეზიდებოდა ფიჩხს, ზოგი რაღაცას ჩალიჩობდა უკაცო ეზოში...

დედაც არ დაივიწყეს. კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე დასვეს საკითხი. საიდანღაც გააჩინეს აბასთუმნის საგზური. მეზობლის ქალებმა ორი კალათა გაუვსეს და უსურვეს ჯანმრთელობა...

## გამიშვით

იქ, სადაც თავზეხელაღებული ლიახვი მოქნეული მახვილივით შუა კვეთს დადინჯებულ მტკვარს და იკარგება ტალღებში, ოდითგანვე ატეხილი ჭალა და ვაზიანი აღარ ეალერსებოდა მნახველის სულსა და გულს.

სამაგიეროდ, ადრინდელი ჭალის შუაგულში უშველებელ მილს დაეღო ხახა და ნაფაზს ნაფაზზე არტყამდა...

თლილი ვარდისფერი ქვით ნაშენი გალავნის გასწვრივ უამრავი საცხოვრებელი სახლი ჩარიგებულიყო, როგორც მერცხლები ჩამორიგდებიან ხოლმე ტელეფონის მავთულზე.

ეს, გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი ამოზიდულიყო მძლავრი მხრებით, ამოზიდულიყო და შლიდა მხრებს. ლამაზად მოჩითული ქსოვილი უკვე იბადებოდა და ახარებდა ქართველი ფეიქრების გულს. რამდენი რამ დასჭირდა ამ ფრთახატულა ქსოვილს: დღე, ღამე, უზარმაზარი ენერგია, სასოწარკვეთა, მარცხი, გამარჯვება!

იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა კომბინატი.

საქვეყნოდ წერდნენ გორელი ფეიქრების პირველ წარმატებებზე. საფაბრიკო სკოლა ყოველ წელს აცხადებდა მიღებას.

...1954 წელს ციალა მეათე კლასში იყო. ჭკვიანი გოგონა ჩანდა. სიხარულსაც და მწუხარებასაც ადვილად ვერ შეატყობდით, მაგრამ იმ დღეს გასცა იგი სიხარულმა.

— გორში უნდა წავიდე! — უთხრა აღმზრდელებს.

— გორში? მერე სწავლა?!

— გამიშვით! — მტკიცედ იყო ნათქვამი.

...სიხარულით თუ სინანულით ჩაკოცნა თავისი ძამიკო. ყვინჩილა კისერზე დაეწვეთა ბიჭს ორი კურცხალი. ციალა იცრემლებოდა. ცრემლი სიხარულმაც იცის.

მერე გაუთავებლად გამორბოდნენ მატარებლისაკენ ხელებგაწვდილი ხეები, კაცები, სახლები, ვენახები, ტელეგრაფის ბოძები... შრიალით ესალმებოდნენ ციალას და კვლავ გარბოდნენ. ბოლოს ფოლადისფერი ციხეც გამოჩნდა... მატარებლის კიბეს შერჩა ციალა. მტკვრისა და ლიახვის შესართავს ეძებდა თვალით. ხალხი მოაწყდა ვაგონს. აირია კალათები და ჩემოდნები... გონს მოვიდა. ვერცხლისწყლის წვეთივით გაუჩინარდა კიბეზე და შეუერთდა ახმაურებულ ბაქანს.

## დაზგები, უთვალავი დაზგები

ციალა დიდი ალაყაფის წინ იდგა სხვებთან ერთად. ისინი ყველანი საფაბრიკო სკოლის მსმენელები იყვნენ. კეთილად დააბინავეს. ნათელი ოთახები, სასადილო, ბიბლიოთეკა, წითელი კუთხე, გვერდით კინოთეატრი და მხარში ჭაღარა აღმზრდელები.

პირველად უნდა გადაებიჯებინა სანუკვარი ზღურბლისათვის. მძიმედ გაიჭრიალეს ანჯამებმა. წინ ქვეოსტატი ვანო ზუბიაშვილი და ცვლის უფროსი ანჟელინა ზალევა მიუძღოდნენ.

ცნობისმოყვარეობით ჩერდებოდნენ თვალები საამქროში. მერე და რამდენი საამქრო! რა დათვლის მათ. სართავი ფაბრიკა, საქსოვი, გამომყვანი... უკვირდა ციალას ამ ვეებერთელა საამქროებში და უთვალავ დაზგებში როგორ არ იკარგებოდნენ ადამიანები. მერე რამდენი თითისტარია! ეშმაკმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდა, რომელი საით ტრიალებდა, რომელი ჩერდებოდა. არც ფეიქრობა ყოფილა ხელწამოსაკრავი!

განსაკუთრებით ბამბის ფთილებმა მოხიბლეს. ადევნებდა თვალს, როგორ შედიოდა მანქანაზე ორი ნომერი მსხვილი ფთილა და მერე როგორ მზადდებოდა საგრეხისათვის. აქედან უკვე ცხრა ნომერი ფთილა გამოდიოდა. მისი აზრით სწორედ აქ წყდებოდა საგრეხი საამქროს ბედი და აქ უნდა მდგარიყო თვითონაც, რომ ესწავლა მანქანაზე მუშაობა.

დადგა კიდეც.

მხარში ამოუდგნენ კეთილი ადამიანები.

ფიქრობდნენ მასზე.

კომკავშირის კომიტეტში გამოიძახეს.

— მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში ისწავლი.

— სკოლაში? — გაუკვირდა ციალას.

— ჰო, სკოლაში. მარტო თითისტრები არ გეყოფა! — გარკვევით იყო ნათქვამი. გაუხარდა გულში. კვლავ დაუბრუნდა მერხს.

...დადგა ის ნანატრი წუთიც, საფთილე მანქანასთან დამოუკიდებლად რომ დააყენეს.

ვანო ზუბიაშვილი იღიმებოდა.

— აბა, ციალა, ჩაიბარე მანქანა! — უთხრა და პატარა ხელი ჩაბღუჯა ძარღვიან ხელებში.

ის ერთი რიგითი მანქანა იყო. ასეთები უამრავია კომბინატში. იგი არაფრით არ გამოირჩეოდა სხვებისაგან, მაგრამ ციალას სჯეროდა, რომ მისი მანქანა ყველას სჯობდა მთელ დედამიწაზე. თავს ევლებოდა. აღარ სცილდებოდა. მალი-მალ გასძახებდა ოსტატს:

— აბა, ნახე როგორია?

ჩუმად მივიდოდა აღმზრდელ ინსტრუქტორებთან:

— ივარგებს?

ასე გრძელდებოდა, ვიდრე ციალას საავდრო ღრუბელი არ მოერია: რით იყო სხვებზე ნაკლები, რომ ერთ მანქანას მიუჩინეს?

...და ერთს მიემატა ორი, ორს-სამი, ოთხი!..

ოთხი მანქანა — ეს უკვე ხუმრობა აღარ იყო.

## ივანოვო, მოსკოვი

იზრდებოდა კომბინატი. იწრთობოდა კადრები. დღისით გოგონები დაზგებთან ტრიალებდნენ, საღამოობით ბიბლიოთეკას ავსებდნენ. მეცადინეობდნენ საფეიქრო ტექნიკუმის მოსწავლეები. საკუთარი სამჭედლო ჰქონდა უკვე კომბინატს.

სწორედ ბიბლიოთეკაში მიაკითხეს ციალას, პარტბიუროში სთხოვდნენ.

პარტბიუროს მდივანი დავით ბედოშვილი იღიმებოდა.

— გამარჯობა, ციალა!

—გამარჯობა, პატივცემულო დავით!

— გთხოვთ! — წყნარად თქვა დავითმა და ციალას სკამზე მიუთითა. ციალამ ახლა შეამჩნია მოწინავე ფეიქრები. ისინი ათიოდე იყვნენ. დავითი წყნარად ლაპარაკობდა.

— გამოცდილების გაზიარების მიზნით გადავწყვიტეთ თორმეტი საუკეთესო ფეიქრის გაგზავნა ივანოვოსა და მოსკოვში. პატივი თქვენც გხვდათ წილად. ყველაფერი ნახეთ, მოისმინეთ, ისწავლეთ და ისე დაგვიბრუნდით.

მერე მთავარმა ინჟინერმა ილაპარაკა. ციალა გაბრუებული იჯდა. აბა, ვინ იფიქრებდა ამას!

...გულთბილად მიიღეს ივანოვოსა და მოსკოვში ქართველი ფეიქრები. ახლაც კარგად ახსოვს ციალას ივანოვოელი ვერა ლოზანოვა, ეს წყნარი და დაკვირვებული ადამიანი. მერე რა გამრჯე ხელები ჰქონდა დალოცვილს! ჩაწყვეტილ ძაფს ისე ჩააბამდა, ვერ შეასწრებდით თვალს. ეს ძაფის ჩაბმის ახალი მეთოდი იყო, უგრეხად ჩაბმის მეთოდი... არც მოსკოველებს გამოუჩენიათ ნაკლები სტუმართმოყვარეობა. ჰო, ბევრი რამ ასწავლეს მათაც, ძალზე ბევრი.

## დღეები და საქმეები

დიდი ხანია ძინავს ქალაქს. შორს კომბინატის დიდი საკვამლე მილი ბოლავს განუწყვეტლივ. საერთო საცხოვრებელში სიწყნარეა, მხოლოდ აღმზრდელი კითხულობს რაღაცას გატაცებით.

ვილაც აღებს კარებს ფრთხილად.

— რომელი ხარ! — სავარძლიდან დგება აღმზრდელი.

— მე ვარ გალია, ციალას ნახვა მინდოდა!

— მერე შენ არ იცი დღე და ღამე?

— სხვადასხვა ცვლებში ვართ, საჭირო საქმე მაქვს, ხომ არ ეძინება?

— არა, არა მგონია, ადი!

ციალა წერილს წერს და თითქოს ხედავს პატარებს, დედას... საწოლზე ჭრელი ხალათი და კაბა გაუშლია, სათამაშოები — ყურცქვიტა, თოჯინა. ამ კვირას აპირებს შინ წასვლას. ხელცარიელი ხომ არ ავა! დედის წერილი ცალკეა. ცოტაოდენ დანაზოგს მიაწვდის.

გამოიყვანეს ფიქრებიდან. ვინ უნდა იყოს?

— მობრძანდით!

გალია დურსანოვა აღელვებულია, ბოდიშობს:

— ციალა, მაპატიე, მაგრამ ჩვენი კომენდანტი მეტისმეტს აკეთებს. ოთახში ვიწროდ ვართ და საკუჭნაოს არ გვიღებს, გამოგვიკეტა, სად შევინახოთ ათასი ხარახურა?

— არ გიღებთ?

— ჰო, სადაც გინდათ, იქ წაიღეთ ეგ თქვენი ბარგი-ბარხანაო!

ციალა ფიქრობს. ის სულ ორი კვირაა აირჩიეს გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატად და აი, მასთან უკვე მიდიან ამომრჩევლები.

— დამშვიდდი, გალია, ხვალ მე თვითონ მოვალ!

## დაუვიწყარი შეხვედრები

ეს მეტისმეტი სიხარული იყო. ფეიქარი გოგონა და პარტიის XXII ყრილობის დელეგატი! მოდი და გშურდეს შენი ენერგია პარტიისათვის, ხალხისათვის, საქმისათვის. აი, როგორ აფასებენ ადამიანს ჩვენში!

გრძელი ჩანდა მოსკოვის გზა. მატარებელი თითქოს განგებ მიიწევდა ზლაზვნით. ვაგონში ციალა, ტატიანა ჩხაიძე და ქარელელი მეხილე ნინო საზანდარიშვილი საუბრობდნენ. ნართსა და ქსოვილს სცვლიდა ჩაის ბუჩქები, ჩაის — ვაშლი... მივიდოდნენ და უამბობდნენ დიდ ყრილობას თავიანთ ჟავდადებულ შრომაზე. აბა, როგორ დაავიწყდება ციალას ის დღეები. საუბარი გამოჩენილ ფეიქრებთან — ვალენტინა გაგანოვასთან და იულია ვეჩეროვასთან. იულია გატაცებით ელაპარაკებოდა ძაფის ჩაწყვეტის შემცირების საკუთარ მეთოდზე. საუბრობდნენ შესვენებისას, სასტუმროში, კრემლის ყვავილნარიან ხეივნებში... გატაცებით უსმენდა ყრილობის ორატორებს ციალა. ერთხელ, თვითონაც არ იცის როგორ აღმოჩნდა იური გაგარინის გვერდით. იური იღიმებოდა.

ასე იღიმებოდა ის ყველგან: გაზეთში, ღია ბარათიდან, შეხვედრებზე. მაგრამ სულ სხვაა ცოცხალი ღიმილი!

— მე გავიგე, — ამბობს იური, — რომ თქვენს კომბინატში გულო ჰუჰუიანის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი ვარ. მართალია?

— მართალია!

— კარგად მუშაობენ?

—ძალზე კარგად!

— როგორ გამომდის ნორმები? — იური კვლავ იღიმება.

— დიდი გადამეტებით! — პასუხობს ციალა

გრძელდებოდა დაუვიწყარი შეხვედრები, მაგრამ ბოლოს ყველას გადააჭარბა იმ დღემ — ნიკიტა სერგის ძე შეხვდა საქართველოს წარგზავნილებს, გულთბილად მიიღო, აქო მეჩაიეების შრომითი საქმეები და ბოლოს სურათიც გადაიღო მათთან.

რამდენი რამ მოისმინა ციალამ, რამდენი რამ გაიგო! რა მძლავრად გაისმა იმ დალოცვილ და დიდებულ დარბაზში ნაცნობი ხმა: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!

იცხოვრებს! — ასეთია ჩვენი ხალხის ნება.

პარტიის ნება.

## იცოცხლე, დედი!

პატარა სოფელია ფონა ხარაგოულის რაიონში. პატარა იყო ნოზაძეების კერა, მაგრამ იბარტყა. ციალას ძმა დაოჯახდა. თვითონ ციალა ახლადაგებულ ბინაში გადავიდა. აბა ვინ დაარჩენდა ასეთ სასახელო ქალიშვილს მარტოდ?! მოსტაცა გული ერთმა შავმა ბიჭმა, კომბინატის მუშამ, გამრჯემ და მუყაითმა. ციალა დაზგებს დაუბრუნდა. საკმაო ხანი იმუშავა ინსტრუქტორად, ახლა კი ახალგაზრდების მომზადება სხვებს მიანდო. დგას დაზგასთან და ყოველდღიურ გეგმას 100—120 პროცენტით ასრულებს.

დედა უკეთ არის და ახარებს შვილების მიღწევები. კვლავ ატკაცუნდა ბუხარში რცხილა და გათბა კერა. შვილებს, შვილიშვილებს ძველ საძირკველზე ახალი კედლები აჰყავთ. აღარ იკარგება ტყეში გულთეთრა, აღარ ცივდება დედა, აღარ სწუხს სოფელი.

ბეგლარ ნოზაძე



# ის იცავს მცენარეებს

საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი. ეს არის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის ნამდვილი შტაბი. აქ მეცნიერი მუშაკები უმეტესად ქალები არიან. ისინი იკვლევენ სხვადასხვა საკითხებს და მაინც მათ შრომაში ბევრია საერთო — ბუნების დაცვა, ბრძოლა ჩვენი სოფლის მეურნეობის აყვავებისათვის.

აი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი თინა ანტონის ასული წაქაძე. მას დიდი ხანია აინტერესებს ხეხილის (ატმის, ბლის, ქლიავის, გარგარის, ალუბლის) ხმობის საკითხი.

1934 წელს დაამთავრა თინამ ინსტიტუტი და მას შემდეგ განუწყვეტლივ მუშაობს ამ საკითხზე.

ბოლო დრომდე ბიოლოგიურ მეცნიერებაში დაფუძნებული იყო შეხედულება, რომ ხეები ხმება სხვადასხვა გარეგანი ფაქტორების გავლენით: მაღალი და დაბალი ტემპერატურისაგან, შეუფერებელი ნიადაგისაგან და სხვა. ასეთი შეხედულება ფართოდაა გავრცელებული ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთაც.

თინა წაქაძემ ეჭვის ქვეშ დააყენა ეს მტკიცებანი. თავის ფიტოპათოლოგიურ ლაბორატორიაში და გორის, სკრის, ვარიანის, დიღმის, ორთაჭალის საცდელ ნაკვეთებში ჩატარებული მრავალი წლის დაკვირვების შედეგად ის მივიდა დასკვნამდე, რომ ატმის ხმობის მიზეზია განსაკუთრებული სოკო ციტოსპორი.

ეს სოკო უბრალო თვალით უხილავია, მიკროსკოპშიც კი ძლივს შეიმჩნევა თეთრი უწვრილესი ძაფების სახით. მაგრამ სწორედ ეს ძაფები აღწევენ მცენარის შიგნით, წის ქსოვილებში, იქ მრავლდებიან და შემდეგ იწვევენ ხის ყველა სასიცოცხლო ნორმალური პროცესის დარღვევას.

ეს სოკო ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ ძალიან უმნიშვნელო როლს ანიჭებდნენ. მას თვლიდნენ საპროფიტად, ესე იგი, ორგანიზმად, რომელიც იკვებება მცენარის მკვდარი ქსოვილებით და თავს იჩენს მხოლოდ ხის გახმობის შემდეგ.

თინა ანტონის ასულმა გადაჭრით უარყო სოკოს ასეთი მცდარი დახასიათება. მან, როგორც იტყვიან, გამოიყვანა ეს მავნებელი სააშკარაოზე. დაავადებულ მცენარეებზე ხანგრძლივი დაკვირვებებისა და მათი მიკროსკოპული ანალიზის შემდეგ შეძლო გამოეყო ამ სოკოს სუფთა კულტურა, შემდეგ მისგან ხელოვნურად დაააავადა მცენარე და დაინახა ჯანსაღ ხეზე ავადმყოფობის გაჩენის მთელი სურათი.

ამჟამად დადგენილია, რომ ეს სოკო სახლდება და ღრმად მკვიდრდება მცენარის ქსოვილში, იქ აქტიურად ვითარდება და გამოჰყოფს ნივთიერებას — ტოქსინს, რაც წამლავს მთელ ხეს. ამას გარდა, გამხმარ მცენარეზე წარმოიქმნება სოკოს ჩანასახი. ერთი ხიდან ის გადადის მეორეზე, შესაძლებელია თვით ადამიანის ჩარევითაც.

თინა წაქაძემ წამოაყენა ბრძოლის თავისი საშუალებანი. თავდაპირველად გადაწყვიტა, რომ საჭიროა პროფილაქტიკა. დიღმის საბჭოთა მეურნეობის ატმის ბაღში ის ოთხი წელი სწავლობდა დასახული ღონისძიებების ეფექტიანობას და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ატმის ხეების მკურნალობის მისი მეთოდი ეფექტურია. ყოველწლიურად, ვეგეტაციის განმავლობაში ის სამჯერ ამოწმებდა თავისი საცდელი ბაღის მდგომარეობას.

მკურნალობის შედეგის შემოწმებამ დიდი მორალური კმაყოფილება მოუტანა მას. 800 ძირ ხეზე, რომლებსაც ის მკურნალობდა, ხმობა შემცირდა 0,5 პროცენტით. ორას ძირ საკონტროლო ხეზე, რომლებზეც მკურნალობა არ ჩატარებულა, ხმობამ მიაღწია 11,6 პროცენტს. ეს იყო მეცნიერების ნამდვილი გამარჯვება.

ამის შემდეგ, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტმა წაქაძის შხამიანი ქიმიკატების ნარევი შესთავაზა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სამინისტროს. სამინისტრომ ის დაამტკიცა და შეიტანა ხეხილის მავნებლებთან ბრძოლის ინსტრუქციაში. ახლა ატმის ხეების ხმობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდი, თ. ა. წაქაძის მიერ დამუშავებული და შემოწმებული, მიღებულია რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

თინა წაქაძე ამჟამად დაინტერესებულია ვაშლის ხმობის საკითხით. აქ არის სხვა მავნებელი სოკო ცეფალოსპორიუმი. ის არსად არ არის მითითებული, როგორც ვაშლის ხმობის გამომწვევი. ცნობილია, რომ თელის ხეებზე იგი საშინლად მოდებულია. საფრანგეთში მან გაანადგურა თელის ტყეები და ხეივნები.

ამ სოკომ შეაშფოთა საქართველოც, რომელიც ხილის ფაბრიკად ითვლება, განსაკუთრებით გორის რაიონი. ეს არის რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი რაიონი, რომელიც იძლევა ვაშლის, ატმის, ქლიავის, მსხლის და ალუბლის მაღალ მოსავალს.

და უცებ, აქ დაიწყო ვაშლის ხმობა, განსაკუთრებით კეხურას ჯიშის ვაშლისა. თითქოს ავადმყოფობის არავითარი ნიშანი არ ჩანდა, ხე კი იღუპებოდა ძალზე სწრაფად.

ვარიანის საბჭოთა მეურნეობასა და გორის რაიონის მეჯვრისხევის კოლმეურნეობაში თინა წაქაძემ საფუძვლიანად შეისწავლა დაავადების მიზეზი. იქ მან მიაგნო ავადმყოფობის გამომწვევს — სოკო ცეფალოსპორიუმს. ეს სოკო ხვდება მცენარეზე მისი გასხვლის დროს და ღრმად ზის მცენარის შიგნით. მის წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან ძნელია.

თ. წაქაძე მივიდა დასკვნამდე, რომ ამ მავნებლებთან ბრძოლის ყველაზე მისაღები საშუალებაა ვაშლის სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერება. ხეს შეუძლია და კიდევაც უნდა ებრძოლოს სოკოს. თავის საცდელ ნაკვეთებზე მეჯვრისხევსა და ვარიანში ჩაატარა მცენარის განოყიერება სხვადასხვა საშუალებებით.

თ. წაქაძის მიერ გაწეული შრომა ცნობილი გახდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. მასთან ხეხილის ხეების ხმობის ეტიმოლოგიის შესასწავლად ჩამოდიან ფიტოპათოლოგები მოლდავეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან. ისინი იძენენ ცოდნას აქ, საქართველოში და გამოცდილება გადააქვთ თავიანთი რესპუბლიკების ინსტიტუტებსა და ბაღებში.

ხშირად თავს იჩენს კამათი ხეხილის ხმობის მიზეზების შემსწავლელთა სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებს შორის. ასე მაგალითად, სომეხი ფიტოპათოლოგები თვლიან, რომ ატმისა და გარგარის ხმობა გამოწვეულია მთლიანად მავნე ბაქტერიებისაგან, [illegible] ბეკეთში ფიქრობენ, [illegible] ხმობის მიზეზი მზისაგან დაწვაა.

თინა წაქაძემ კოლეგებს დაუმტკიცა, რომ მთავარ როლს აქ თამაშობენ სოკოები. მას მხარი დაუჭირა ლენინგრადის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტმა. ახლა უზბეკელმა ამხანაგებმა აღიარეს ქართველი მეცნიერის მეთოდები. სომეხმა ფიტოპათოლოგებმა პოლემიკის შემდეგ მცენარეთა ხმობის მიზეზად მიიჩნიეს სოკო, ადრე მიჩნეული ბაქტერიების გარდა. ამგვარად, მათ გამოიყენეს ხმობის წინააღმდეგ ბრძოლის ორი სხვადასხვა მეთოდი. საქართველოში მეორე მეთოდს არ იყენებენ, რადგანაც ხეხილის ბაქტერიოლოგიური ჭკნობა თინა წაქაძის აზრით არცერთ რაიონში არ შეინიშნება.

თინა წაქაძის დიდი დამსახურება მცენარეთა დაცვის საქმეში ის არის, რომ კოლოსალურად გაიზარდა ხეხილის მოსავლიანობის რეზერვი, როგორც საქართველოში, ასევე მოძმე რესპუბლიკებში.

ბ. ძლევაძიძე

# ჰესის მშენებლობაზე

ლამარა მეფარიძე თბილისიდან მშობლიურ სოფელში მიეხაროდა. მატარებელმა სატურის ქალებს მიაცილა და შეჩერდა. სადგურში არავინ დახვდრია. წინასწარ არ შეუტყობინებია მშობლებისათვის ჩამოსვლის შესახებ. უნდოდა მოულოდნელად გაეხარებინა მოხუცები. მარტო დაადგა სოფლის გზას.

გზაში მანქანა წამოეწია. ინჟინერმა პეტრე კაჭკაჭიშვილმა მანქანაში მიიპატიჟა ქალიშვილი.

დიდხანს მიდიოდნენ უხმოდ. დუმილი პეტრემ დაარღვია:

— სად აპირებ მუშაობის დაწყებას?

— ალბათ, თერჯოლაში მომიხდება დარჩენა. იქ დავიწყებ მუშაობასაც.

— ჩვენთან მოდი, ტყიბულჰესის მშენებლობაზე. რომ არ დაგიმალო, პირველად გაგიჭირდება, მაგრამ მიეჩვევი.

— სად შეიძლება გნახოთ? — გაეხარდა ქალიშვილს.

— ტყიბულჰესზე. ხომ იცი, სადაც არის?

— როგორ არ ვიცი. მე ძევრიდან ვარ. ხუთი თითივით ვიცნობ რაიონს.

— მაშინ ხვალ მოდი და შეუდექი მუშაობას.

მესამე უბნის უფროსმა მირიან ურუშაძემ უნდობლად შეხედა ქალს, გაუკვირდა კიდეც: მამამ შვილი როგორ გამოიმეტა ამ ხიფათზე, ამ ულრანში გამოსაგზავნადო. დრო იხელთა და პეტრე განზე გაიხმო.

— ოტია მაისურაძე გახსოვს? კულულაძე? გურაძე? ღვევბივით ვაჟკაცები იყვნენ...

— შენ მაგისი ნუ გეშინია. ჩვენი მხარის ქალია. შეჩვეულია აქაურობას, ცოტა წავახალისოთ და საქმე წინ წავა.

მირიანმა მხრები აიჩეჩა და უნდოდ გახედა ხარაჩოებზე შემდგარ ქალიშვილს.

• • •

ლამარა სააგრეგატო სადგურის მშენებლობაზე ოსტატად დანიშნეს. ვაჟურად ნაღვა და მშენებლებში გაერია.

მუშებს მაწონ ხუდაპირი მოღუბეტონებინათ და აღმოსავლეთ მხარეზე მთის ძირში საძირკველს თხრიდნენ.

ლამარა მიესალმა მუშებს და თვალი გადაავლო მათ ნამუშევარს. დაეჭვდა. ნახაზს დახედა და შეცდომას მიაგნო. მუშებმა ტანისთვის გვერდი აუვლიათ და იგი სანტიმეტრით გადასცდენოდნენ გეგმას.

— შეცდომაა, ამხანაგებო, მთელი იგი სანტიმეტრი. ცემენტით რომ ამოიყვანთ კედლებს, ჩრდილოეთის მხრიდან ამოყვანილი კედელი ჰაერში დარჩება. ახლავე უნდა გამოსწორდეს, მერე გვიან იქნება. კლდეს უნდა ჩამოვათალოთ ეს ნაწილი, თანაც მთის გულში ორი მეტრით მაინც უნდა შევეჭრათ, თორემ მდინარე ძევრა რომ აიწევს, წლების მანძილზე ჩამოშლის ქანებს და შეიძლება წყალმა გასავალი იპოვოს.

მუშებმა მწყრალად შეხედეს ქალიშვილს და ბუზღუნით დაუწყეს ტანს ჩამოთლა.

ლამარამ ერთხელ კიდევ შეამოწმა ნახაზი და გაიღიმა:

— რას იზამთ, რაკი საქმე მოითხოვს, უნდა გაკეთდეს!

• • •

ექვსი თვის შემდეგ იმავე უბანზე ლამარა მეფარიძე სამუშაოთა მწარმოებლად გადაიყვანეს. ჰესის კედლებიც ნელნელა ამოსცილდა დედამიწას და უკვე ხარაჩოების ტყის დანახვა სოფელ ძევრიდანაც შეიძლებოდა.

ერთ დღეს ტყიბულჰესის რაიონის ჭიშკარი ფართოდ გაიღეს. ზღვა ხალხი მოვიდა ჰესის გახსნაზე.

სწორედ ამ დროს გაუშვეს ყველა აგრეგატი და ელექტროშუქიც წამოვიდა.

გაუშვებდნენ გენერატორები... ტურბინები...

სახელდახელოდ გამართულ ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ჰესის მშენებლები, ინჟინრები, მუშები, მემონტაჟეები. ლამარა მეფარიძე სახეგაბადრული იდგა მათთან ერთად ტრიბუნაზე. გვიანობამდე გასტანა ზეიმმა.

მეორე დღეს ლამარა პეტრე კაჭკაჭიშვილთან მივიდა. დირექტორმა სიყვარულით გადახედა სიცივისაგან აწითლებულ ქალიშვილს.

— ლამარა, — პირდაპირ დაიწყო პეტრემ, როგორც საერთოდ იცოდა ხოლმე, — ეს სამუშაო დამთავრდა. ჰესი უკვე მუშაობს. მაგრამ თუ შენი სურვილიც იქნება, მე მინდა ჰიდროტექნიკური სამსახურის უფროს ინჟინრად დაიწყო მუშაობა. რას იტყვი, გაწყობს?

— სიამოვნებით დავრჩები ძევრში.

შემდეგ ლამარამ თავისი მოსაზრებები წამოაყენა ჰესის სათადარიგო გვირაბების აშენების თაობაზე, ხელმძღვანელობას პროექტი გააცნო და სთხოვა, მალე დაეწყოთ მშენებლობა, რათა კოკისპირული წვიმების დაწყებამდე მოეთავებინათ.

პროექტი მიიღეს და სამუშაოს უშუალო ხელმძღვანელობაც მას დაავალეს.

კვლავ მთელი ენერგიით მუშაობს ინჟინერი ქალი.

თ. ზათირიშვილი



# თამარ ციციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა გოგონას დიდი, წყნარი თვალები ჰქონდა, მაღალი შუბლი და კოპწია ბაგე.

— თამარ! — ეძახდა მამა და ეფერებოდა, ხშირ თმაზე ხელს უსვამდა. სახელი „თამარ" მშობლიურ ცას აგონებდა, იისფერ ქედებს და ქართლის ცხელ მინდვრებს, უფლისციხის სათოფურებს, ვარძიის ბილიკებს...

დედ-მამას დაჰყავდა პატარა თამარი თეატრში. გოგონა ფრთოლვით შესცქეროდა ფარდას—მის იქით ჯადოსნური სამყარო იშლებოდა... მერე სიზმარში ჩაჰყვებოდა ნანახი და გაგონილი. მაგრამ არასოდეს უოცნებია — მეც მსახიობი უნდა გავხდეო. მას უფრო „ვეფხისტყაოსნის" კითხვა იზიდავდა, აკაკის ლექსები...

ზის ახლა დიდი თამარი და ფიქრობს: წელან ბარათი მოვიდა, ერთი ათასთაგანი: „მიამბეთ თქვენი ცხოვრების შესახებ"... თხოვს შორეული მეგობარი. ასეთი თხოვნით ხშირად მიმართავენ თამარ ციციშვილს. ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი. ხომ ვერ მოუყვება რა მომხიბვლელი, მშვენიერი იყო ცხოვრების გაზაფხულზე, როგორ უთმობდნენ გზას და შემდეგ კვლავ მასთან შეხვედრას ნატრობდნენ, აგონდებოდათ მისი სახე, სავსე პატიოსნებით. ვერც იმას იტყვის — ქართული ლირიკული პოეზიის რამდენიმე მარგალიტი ჩემი შთაგონებითაა შექმნილიო, კდემა არ მისცემს ამის ნებას... ქართველი მგოსნის ლექსმა თამარს „ჩუქურთმის ყვავილი" შეარქვა, ატყორცნილ ქვებში ამონაკვთული.

არ შეიძლება გიყვარდეს ადამიანი მხოლოდ იმიტომ, რომ მომხიბვლელია. თამარ ციციშვილის მშვენებას კი თან ახლავს მშვენება სულისა, ნიჭიერება, განათლება. მისი ცხოვრების გზა სავსეა შრომით, სწავლით. მას იცნობენ, როგორც შესანიშნავ დედას, მეუღლეს, დედაბოძს დიდი ოჯახისას: მამა, მეუღლე პროფესორი დიმიტრი გედევანიშვილი, შვილები, შვილიშვილები... და ყველას ჭირდება თამარის ნაზი, მზრუნველი ხელი!... მოყოლებული 1930 წლიდან, როცა მან სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა, თამარი ლიტერატურისა და ხელოვნების ჭაერით სუნთქავს, ცოცხლობს. საქართველოს მუზეუმის ძველი ნაბეჭდი წიგნის განყოფილებაში მუშაობდა პირველად. თავს ხრიდა „ვეფხისტყაოსნისა" და „ვისრამიანის" ხელთნაწერებზე. მის სხივიან თვალებს ერთხელაც არ მობეზრებია სათუთად მოხაზული ძველი ქართული ასოები. უყვარდა და ესმოდა იმ ადამიანებისა, რომლებმაც საუკუნეებს შემოუნახეს ჩვენი საუნჯე. მაინც ვინ მოხატა ასეთი სიყვარულით ძველი პერგამენტები, ვინ ჩაიწყალა თვალები, დაღალა ხელები? იქნებ, თამარივით თვალსხივოსანმა ასულმა აიღო ხელთ „მინა რხეული", თვითონვე გაამზადა სამზითვო წიგნი? იქნებ სამშობლოდან ბედის უკუღმართობით გადახვეწილმა ადამიანმა გაახმიანა გრაგნილზე საყვარელი სტრიქონები? — იჯდა და ფიქრობდა თამარი.

ღია სარკმელიდან იპვრიტებოდნენ თეთრი აკაციები, ჰყვაოდნენ თბილისის ცაცხვები, იცინოდნენ წყვილები, და არავინ იცოდა რა მშვენიერი ასული იჯდა მუზეუმის დარბაზში და ფიქრიანად გაჰყურებდა საუკუნეებს.

— მაინც როგორ, როგორ მივიდა პირველად კინოში? — კითხულობს ცნობისმოყვარე მაყურებელი. ისე, როგორც ძალიან ბევრი — შემთხვევით.

კინოზე არასოდეს უოცნებია. მაინც შესთავაზა რეჟისორმა სიკო დოლიძემ სასინჯ გადაღებაზე მისვლა. ეს იყო 1935 წელი.

რეჟისორი ეძებდა დარიკოს როლის შემსრულებელს. ბევრი დაბრუნდა გულდაწყვეტილი კინოსტუდიიდან. რევოლუციური რომანტიკით სავსე გურული ქალის სახე კვლავ უცდიდა თავის ორეულს. და მხოლოდ თამარ ციციშვილს ასწავლა გლეხის ქალმა დარიკომ მიზანში სროლა, ცხენით ჯირითი, ქინი მურისძიებისა.

თამარი შემკრთალი შევიდა კინოსტუდიის ერთერთ ოთახში, კარებთან შედგა. პირდაპირ, კედლის სარკიდან დიდი, შუქიანი თვალები უმზერდნენ. თვალებმა ყურადღებით შეათვალიერეს ახალგაზრდა ქალი. „ნუცა ჩხეიძე" — გაიხმიანა თამარის სულში, სათაყვანებელი ნუცა ჩხეიძე, დიდი მსახიობი. მის გვერდით უნდა ითამაშოს ახლა თამარმა. როგორ შებედოს? როგორ აუბას მხარი? კინაღამ უკან გამობრუნდა მაშინ თამარი. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ნუცას საყვარელი თვალები თითქოს მარად დასდევენ თან. ფილმის დამდგმელმა მთელმა კოლექტივმა გაამხნევა მაშინ დამწყები მსახიობი, რეჟისორი სიკო დოლიძე, შესანიშნავი პარტნიორი სერგო ზაქარიაძე...

აი, გურია, მშვენიერი გურია. ენამოსწრებული, სხარტი გურულები, ყაბალახით თავწაკრული ჭაბუკები, თეთრწვერა, ბრძენი მოხუცები... ამ მოხუცებს ახსოვთ სიმონა დოლიძე, დათიკო შევარდნაძე, სისონა დარჩია, მათთან ერთად შებრძოლებიან უსამართლობას. ძალმომრეობას ტყეში გაქცევიან და იქიდან გამოსარჩლებიან ღარიბ-ღატაკებს. ჰოდა, რა ძნელია მათ თვალწინ მთელი სიმართლით აღადგინო წარსული, ითამაშო! ვაი, თუ მხოლოდ ითამაშო და ვერ ჩაწვდე გმირის სულს, ხასიათს. დარიკო? იქნებ, მართლაც არსებობდა ნაბადმოხურული, თოფიარაღასხმული მებრძოლი გურული ქალი.

— აი ლამაზი ქალი შეძლებს ცხენით ჯირითს? — ეჭვით იკითხეს პირველად გურულებმა. და თამარი ხედავდა ამ ეჭვს მასპინძლების თვალებში. დღესაც სიყვარულით იგონებს მსახიობი ქალი მახარაძელებს: ისინი ურჩევდნენ, ასწავლიდნენ, უკვირდებოდნენ მის ყოველ ნაბიჯს. ერთი სიტყვით, თვითონაც ჩაერთვნენ ფილმის გადაღებაში, წუხდნენ, როცა გაჯიუტებული ცხენი ზურგიდან გადაიგდებდა გამოუცდელ მხედარ ქალს. ხანდახან თამარი დაეჭვდებოდა: ვაი თუ, ყალბი ვარ, ვაი თუ, ვერ შევძლო?.. ეჭვი განსაკუთრებით მაშინ დაეუფლებოდა ხოლმე, როცა აპარატის წინ ნუცა ჩხეიძე დგებოდა. აი, თეთრი თმა გაიშალა ნუცამ. „ნენა, მიმღერე ნანა!" თხოვს პორკილდადებული შვილი. და ნუცაც უკანასკნელ ნანას უმღერის პატიმარ ვაჟკაცს...

— შვილო, შვილო! — წივის ნუცა და თამარს თვალთაგან ცრემლი ჩამოდის, ქრუანტელი უვლის...

ბუნებრივია ნუცასაც უდევს წილი, რომ გამოუცდელი, ახალბედა მსახიობი ასე შეეთვისა თავის ახალ სახეს.

„დარიკომ" უჩვეულო გამარჯვება მოუტანა ფილმის შემქმნელ კოლექტივს და ყველაზე მეტად თამარ ციციშვილს. ქუჩებში მღეროდნენ: „ჰე, ჰე, დარიკო ვარ გლეხის ქალი"... ბავშვები აგროვებდნენ, აკრავდნენ ალბომში საყვარელი გმირების — დარიკოსა და სიმონას ფოტოსურათებს. სამი თვე არ ჩამოსულა ეკრანიდან „დარიკო". ეს იყო ფილმი — გრიგალი, რომელმაც აიტაცა მაყურებელი, აავსო თავისი ხმიანობით. თამარ ციციშვილს ცნობდნენ ქუჩაში: „დარიკო! დარიკო!"

მრავალი მეგობარი შეიძინა მაშინ თამარმა, ახლობელიც, შორეულიც. მაშინაც, შემდეგშიც მოდიოდა ბარათები. ბარათები მოდიოდა ფრონტიდან, ბრძოლის ხაზიდან. ჯარისკაცები, ვით საკუთარ დას, უყვებოდნენ თამარს ფრონტის ამბებს, პირობას აძლევდნენ, რომ მათი ცეცხლიანი გზა მხოლოდ გამარჯვებით დაიდაფნებოდა.

წარმატებამ მეტი ხალისი შეიტანა ახალგაზრდა მსახიობის ცხოვრებაში. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა რეჟისორმა კ. მიქაბერიძემ ახალი როლი შესთავაზა. ეს იყო როლი ნესტანისა. რომელ ქართველ ქალს არ აძგერებია გული ნესტანის მიერ ქაჯეთი-



„დარიკო". დარიკო



„პოეტის აკვანი". ძიძა—ნატო ვაჩნაძე, აკაკის დედა—თამარ ციციშვილი



„ქაჯეთი". ნესტან დარეჯანი

დან მონაწერი სტრიქონების კითხვისას? ნესტანის სახის ელვარება, მისი უმაგალითო მიჯნურობა. ჰოდა, ამ როლს თავაზობდნენ ახლა თამარს. ეს იყო ერთგვარი ექსპერიმენტი — დაედგათ ნაწყვეტი უკვდავი „ვეფხისტყაოსნიდან". (კერძოდ, ქაჯეთის ციხის აღება). ჩანაფიქრის განხორციელებას მრავალი სიძნელე გადაეღობა. აქ ყველაზე მეტად ფილმის ტექნიკური მხარე იგულისხმება. მაგრამ „ქაჯეთი" მაინც ავიდა ეკრანზე. თამარ ციციშვილის ნესტანის სახემ მოხიბლა მაყურებელი. გადაწყდა: ახლა ვეღარაფერი დააცილებდა თამარსა და ეკრანს. იგი ერთნაირი ხალისით თამაშობს ფილმებში: „პოეტის აკვანი" და „ქეთო და კოტე", „ბედნიერი შეხვედრა" და „ბაში აჩუკი", „ორი ოჯახი" და „დაგვიანებული სასიძო", „ჭრიჭინა" და „ეთერის სიმღერა"...

აკაკის „ჩემ თავგადასავალში" გვხიბლავს დედა მგონსისა. დინჯი დედა, სამართლიანი ადამიანი, შესანიშნავი დიასახლისი. — ასეთი გაგვაცნო აკაკიმ დედა. თამარ ციციშვილი ახლაც ფიქრობს — შეძლო თუ არა მან ფილმში „პოეტის აკვანი" დედის სახის სრულყოფა. მაყურებელი ამბობს: შეძლო! ერთი შეხედვით ცივი, მაგრამ შინაგანი მომხიბვლელობითა და სითბოთი სავსე დედა. იგი საკუთარი ფეხით მიდის ღარიბი გლეხის ოჯახში, გამზრდელს უტოვებს ჩვილ აკაკის, სჯერა, ეს წრე უფრო მეტს მისცემს მომავალ მგოსანს... 1949 წლიდან თამარი თეატრშიც მიიწვიეს. მას უყვარს როლები, რომლებიც კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე განასახიერა, ესაა ოქტავია („ანტონიოს და კლეოპატრა"), რუსუდანი („სოფლის სამი საღამოები"), თამარი („უფსკრულთან"), ოლღა („წიწამურის ტრაგედია") და სხ.

მაგრამ, რა დასამალია, მაყურებლისათვის თამარი კვლავ დარიკოდ რჩება. მას ადრეულ გაზაფხულზე უყვარს იით ხელის დამშვენება. გამვლელები ადვილად ცნობენ საყვარელ მსახიობს და უკან იხედებიან. ესესაა მათ წინ ჩაიარა დიდი ხნის ნაცნობმა, მშობლიურმა დარიკომ. მის სათუთ მხრებს ნაბადი შვენოდა, მარმარილოს მაღალ შუბლს — ყაბალახი. ახლა კი თითქოს უკვირს მაყურებელს — ასე უბრალოდ, ჩვეულებრივად მიმავალს რომ ხედავს.

„მსურს შევაჩერო თქვენი მანქანა
და თეთრი ცხენი შემოგთავაზოთ."

წამოცდა ერთ ახალგაზრდა პოეტს, მასთან შეხვედრისას.

წლები მიდიან.

და ქართველ მაყურებელს უნდა ისევ იხილოს თამარ ციციშვილი ფილმში, რომელიც მისთვის შეიქმნება, რომელიც კვლავ გრიგალივით გაგვიტაცებს.

**ნ. მაისურაძე**

სწრაფი ნაბიჯებით მიმავალს, ხშირად შეხვდებით მას მოსკოვში, ვერნადსკის პროსპექტზე. ეს ფართო პროსპექტი ახლახან გაშენდა. აქ ბევრი ახალი და დიდი შენობაა. ის ჩერდება № 15 სახლთან, მესამე სართულამდე კიბეებს მკვირცხლად აივლის, ვიდრე კარს გააღებდეს, საფოსტო ყუთს გახსნის, ბარათებს ამოიღებს. — „თამარ სერგოს ასულ მახარაძეს" — ყველა ბარათს ეს ერთი მისამართი აქვს. გერმანიიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან, იტალიიდან, ინდოეთიდან, საფრანგეთიდან, საბერძნეთიდანაა ისინი მოსული.

ვინ არის ეს ქალი, რომელსაც მსოფლიოს ყველა კუთხეში იცნობენ?

იგი ჩოხატაურში დაიბადა, სოფელ იანოულში, მერე მშობლები თბილისში გადმოსახლდნენ, დიდუბეში დაიდეს ბინა. კამოს სახელობის ინტერნაციონალურ სკოლაში სწავლობდა. უყვარდა დიდუბის პანთეონის ეზოში ყოფნა. აქ ოცნებობდა და აქ ელოდებოდა სამსახურიდან მომავალ მამას. აქ გაატარა მან ბავშვობის მხიარული და ბედნიერი დღეები. მერე რატომღაც მამა აგვიანებდა სახლში მოსვლას, დედა ბრაზდებოდა და იცრემლებოდა. ერთ საღამოს სულ არ მოვიდა მამა და ლოდინით დაღლილი გოგონა სახლში რომ დაბრუნდა, ბარგი შეკრული დახვდა. დედა ცრემლგამშრალი დაბორიალობდა ოთახში. მერე მატარებლით გაემგზავრნენ. გაუთავებელი ეჩვენა გზა გოგონას. „რა შორს ყოფილა მოსკოვი. იქნებ, მამა დაგვხვდეს სადგურში?" სადღაც იმედის ნაპერწკალი კიდევ ღვიოდა.

სადგურში მათ დედის ძმა დახვდა და თავისთან შეიკედლა პატარა, ათმეტრიან ოთახში. უჭირდათ ცხოვრება. დედამ მეტალურგიულ ქარხანაში დაიწყო მუშაობა. თამარი სწავლობდა. თუ დროს მოახელებდა, გარბოდა ქარხანაში, დედისთვის რომ წაეშველებინა ხელი. მერე თვითონაც დაიწყო ქარხანაში მუშაობა. შრომისმოყვარე გოგონა კომკავშირის რიგებში მიიღეს და სულ მალე დააწინაურეს კიდეც. დაუღალავმა ქალიშვილმა 1937 წელს დაამთავრა საფრენოსნო სკოლა და პარაშუტისტი გახდა. მესამე კურსის სტუდენტი იყო, როცა ომი დაიწყო. იგი მოხალისედ წავიდა ფრონტზე. თვითმფრინავის საჭეს მიუჯდა თამარი. მტრის ზურგში დაფრინავდა. ბრწყინვალედ ასრულებდა დავალებებს, მაგრამ ერთხელ დავალების შესრულების შემდეგ უკან მობრუნებულს მტერი წამოეწია და რკალში მოიმწყვდია. ქალიშვილი არ დაიბნა, მიუხედავად იმისა, რომ ფეხში იყო დაჭრილი და თვითმფრინავიც დაზიანდა, მაინც მოახერხა ჩვენს მიწაზე დაშვება. ორი თვე იწვა ჰოსპიტალში, გამოჯანმრთელდა და 110-ე მსროლელთა დივიზიაში ჩაერიცხა. ამ დივიზიაში ორი პოლკი ქართველებისაგან შედგებოდა. აქ კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს თამარი.

ვეფხვებივით იბრძოდნენ ბიჭები კალინინის ფრონტზე. ძველი თბილისელი ფეხბურთელი გერმანე ხუციშვილი და სიმონ ნიკიტინი დაზვერვაზე გაგზავნეს: მოზრდილი ტბა უნდა გადაეცურათ და რადაც არ უნდა დაჯდომოდათ მოენე უნდა ჩაეგდოთ ხელში. თბილისელ ჭაბუკებს არ გაუჭირდათ ტბის გადალახვა. სოფელი დაზვერეს, არსად ჩანდნენ გერმანელები. უკან დაბრუნებულებმა ეკლესიაში შენიშნეს გერმანელები და ატყდა ტყვიების ზუზუნი. ორი იბრძოდა ათეულების წინააღმდეგ, მაგრამ იბრძოდნენ შეუპოვრად. გერმანემ იგრძნო, რომ გამკლავება გაუჭირდებოდათ:

— სიმონ, აცნობე ჩვენებს, მე როგორმე შევაკავებ მტერს.

სიმონი ყოყმანობდა: ასეთ დროს როგორ დასტოვოს მეგობარი.

— გიბრძანებ! — დაიქუხა გერმანემ და სიმონი მოწყდა ადგილს. ყოველ მხრიდან ზუზუნებდნენ ტყვიები და გერმანე მაინც უვნებელი რჩებოდა. ბოლოს უმტყუნა ბედმა — ტყვიამ მარჯვენა ფეხი დაუჩეჩქვა. იმ წუთში ახმახი გერმანელი აღიმართა მის წინ. ტკივილი თითქოს დაავიწყდა.



ქორივით დააცხრა მტერს. მაგრად შეუკრა ხელფეხი. მერე იგრძნო აუტანელი ტკივილი. ჭრილობა შეიხვია, სმენა გაიმახვილა. სრული სიჩუმე დამკვიდრებულიყო ტყეში. გერმანელი წელზე მოიბა მაგრად. მიხოხავს. წყალი წყურია. გული უწუხს, მაინც განაგრძობს გზას. კვნესა შემოესმა. სიმონი კვნესოდა, ტყვიებით დაცხრილული ებრძოდა სიკვდილს. მომაკვდავი მეგობრის დანახვაზე წახდა ვაჟკაცი, გულმა უმტყუნა და გონება დაკარგა. გონს რომ მოეგო, უკვე ჰოსპიტალში იყო და თამარი დასტრიალებდა თავს...

მერე თამარი პოლიტმუშაკების კურსებზე გაგზავნეს. აქ შეხვდა გოლიათ ვაჟკაცს ანდრეი ტიტარენკოს. ანდრეის ნათელმა თვალებმა მოხიბლა ქალიშვილი. ანდრეიც არ იყო გულგრილად. არც სიყვარულის ფიცი იყო, არც მძიმე განცდები. უბრალოდ უთხრეს ერთმანეთს: ომი დამთავრდება და ერთად ვიქნებითო.

ანდრეი სხვა მიმართულებით გაემართა ფრონტისაკენ, თამარმა 160-ე დივიზიას მიაშურა.

1942 წლის აპრილში 160-ე დივიზია ვიაზმაში იდგა. წინ მძიმე საბრძოლო დღეები იყო. ბრძანება მოვიდა, დივიზიას უნდა გადაელახა მდინარე უგრა, თავს დასხმოდა მტერს. დაიძრნენ. თოვლი დნება. მუხლამდეა ტალახი, კოკისპირულად წვიმს. ირგვლივ ცეცხლია გახსნილი. თამარს მხარდამხარ მიყვება დაჭრილი პოლკოვნიკი გ. დარახველიძე. უგრა ადიდებულია. წყალი მოღმუის ფაფარაყრილი. შეჩერდნენ. ფონი მოძებნონ? დრო არ ითმენს.

თამარმა სთხოვა გრიგოლს:

— შენ ნუ წამოხვალ, დარჩი, აქ შეაფარე სადმე თავი, დაჭრილი ხარ და ვაი თუ...

გრიგოლს მწარედ გაეღიმა...

— მტერს ჩავბარდე? — და ადიდებულ მდინარეს მისცა თავი. ზემოდან ეშვება მტრის ყუმბარები, მაგრამ ვინ შეაჩერებს ბრძოლის ცეცხლით ანთებულ გულს. მხარულით ებრძვის თამარი გაავებულ ტალღებს, მხედველობიდან არ კარგავს გრიშას, თუ გაუჭირდა, მიეშველება. არ ცხრებიან ჯალათები. ცა ჩამობნელდა. სეტყვასავით წამოვიდა ყუმბარები. ყველაფერი აირია...

იმ დღის შემდეგ არავის უნახავს გრიშა დარახველიძე, იმ დღეს გაიწმინდა ფაშისტ დამპყრობლებისაგან უგრის ნაპირო.

იმავე წლის სექტემბერში მიხეილ კალინინი ჩამოვიდა დასავლეთის ფრონტზე და მისი ხელით გაუკეთა თამარს წითელი ვარსკვლავის ორდენი...

შემდეგ პოლკი იბრძოდა სმოლენსკის ოლქში. ზანზარებდა მიწა, გუგუნებდა ცა. იერიშზე წამოვიდნენ მტრის ტანკები. უნდა შეაჩერონ ეს ვეებერთელა მანქანები. სანგარში ნელა მიხოხავს თამარი, მერე წამოიმართა და პირველმა ტყორცნა ხელყუმბარა. აფეთქდა ტანკი. ისევ ტყორცნა მეორე და...

ვეფხვებივით ეძგერნენ მტერს ვაჟკაცები. მტერი უკუიქცა.

თამარს კი ყუმბარის ნამსხვრევმა ექვსი ნეკნი შეუნგრია. იგი წევს სანგარში, იცლება სისხლისაგან. იქვე, მასთან დანით ხელში დაჭრილი გერმანელი აგდია. უცქერის თამარს და თითქოს თვალებით უნდა განგმიროს. თამარმა თვალები მილულა. გარეწარის გამოხედვამ შეაზარა. ჯალათი ახლო მიხოხდა, ასწია ხელი დასარტყმელად. თამარმა თვალები გაახილა. ახლაც რომ ჰკითხოთ, ვერ გეტყვით, თუ რა ძალა იყო ის, რომლითაც გააშეშა მტერი.

მძიმე იყო ჭრილობა, არავინ ფიქრობდა თამარის გადარჩენას. არც თამარს ჰქონდა იმედი. ამიტომ ყველას ეხვეწებოდა, არავისთვის ეცნობებინათ მისი ამბავი.

„დედა ცოდვაა, — ფიქრობდა იგი, — სჯობია მელოდოს მთელი სიცოცხლე, ოღონდ არ გაიგოს ჩემი სიკვდილი.

ანდრეის კი უფრო მალე დავავიწყდები. მაინც ცოდვაა. რატომ უნდა ვატკინო გული?“

როგორ ცდებოდა თურმე თამარი.

შეწყდა მისი ბარათები და ანდრეიმ მოსვენება დაკარგა. დაგზავნა შეკითხვები. დაუწყო ძებნა.

ერთ დღეს გრიგალივით შეიჭრა ანდრეი ბარნაულის ჰოსპიტალში:

— თამარ!

თამარს სათქმელი დაეკარგა. სიტყვები უძლური იყო.

მეორე დღესვე მოსკოვში გაფრინდნენ. დაქორწინდნენ. რა ხანმოკლე იყო მათი ბედნიერება! ანდრეი სულ მალე ფრონტზე დაბრუნდა. 1945 წლის 5 მაისს კი ბერლინისათვის ბრძოლებში დაიღუპა გმირული სიკვდილით. დარჩა თამარი 5 თვის საშათი. დიდი იყო მწუხარება...

დღეს თამარი ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას“ სპეციალური კორესპონდენტი, ომის ვეტერანთა კომიტეტის წევრი და საბჭოთა ქალების კომიტეტის წევრია. მან იცის, რა არის ომი, რა დიდი უბედურება მოაქვს მას ადამიანებისათვის და იბრძვის მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

1962 წელს თამარ მახარაძემ მონაწილეობა მიიღო განიარაღების მსოფლიო კონგრესის მუშაობაში, დაუმეგობრდა ამერიკელებს ვალიდა ბრანდს, გაზეთ „ფანარიკის“ ორგანიზატორს და რუთ კოლბის, იტალიელ ძველ პარტიზან ქალს — მარგარიტა პროტალონგის და სხვებს. მეგობრებმა ფიცი დადეს, რომ მთელ ძალებს მოახმარენ ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ ბრძოლას.

* * *

...მას ხშირად შეხვდებით მოსკოვში, ვერნადსკის პროსპექტზე სწრაფი ნაბიჯებით მიმავალს. თხუთმეტ ნომერ სახლში მესამე სართულამდე სირბილით ალევს კიბეებს. ვიდრე კარებს გააღებდეს, საფოსტო ყუთს გახსნის, ბარათებს ამოიღებს. იწერებიან მეგობრები მსოფლიოს ყველა კუთხიდან...

ოლია რუშია,

მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვა თქვენ გეკუთვნით

## აი, რა მოეთხოვება აღმზრდელს

ოჯახში იზრდება და ყალიბდება მომავალი მოქალაქე — ადამიანი. ამიტომ ზრუნვა ოჯახზე ეს არის ზრუნვა საზოგადოებისა და ერის კეთილდღეობისათვის...

...ისტორიამ იცის ქალი — მგოსანთა მუზა, შემოქმედების იმპულსი, დიდი მხატვრული ტილოების შთამაგონებელი, ქალი ვაჟკაცის გამამხნევებელი, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი, თავდადებული პატრიოტი. და მაინც ყველგან, ქალის წარმოდგენასთან დედის ხახე არასოდეს დაჩრდილულა. ქალს, დედას ჩვენს ქვეყანაში მეტად სერიოზული ვალდებულება აკისრია — ვალდებულება მშობლისა და აღმზრდელის, მეუღლისა და მოქალაქის. თუ ოჯახი საზოგადოებრივი სისტემის ქმნილებაა და მისი მდგომარეობის ანარეკლს იძლევა, თავის უმაღლეს წერტილს, სრულყოფილ სახეს იგი ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობის დროს აღწევს. ეს თანასწორუფლებიანობა საზოგადოებრივ ურთიერთობაში თანაბარ უფლებას გულისხმობს, ხოლო ოჯახში ცოლ-ქმართა, მეუღლეთა კეთილ ურთიერთობას.

დიდი მოვალეობა დააკისრა ქალს ბუნებამ — იგი თავის არსებაში ატარებს სიცოცხლის დაუსრულებლობის ძალას, ასაზრდოებს, ზრდის, ავაჟკაცებს. ეს მოვალეობა ბუნებამ ქალს დააკისრა და ეს გახლავთ განსაკუთრებული, რაც დედასა და ქალს ხდის მთავარი ყურადღების ღირსად.

ქართულმა ტრადიციამ შემოინახა განსაკუთრებული დამოკიდებულება ქალისადმი — მამაკაცი მფარველობს ქალს, პატივს სცემს, მორიდებით ექცევა, ჩვენში ველურობად ითვლება ტლანქი, უდიერი მოქცევა ქალისადმი. ეს ტრადიცია განსაკუთრებით დღეს არის დასაფასებელი, როდესაც ქალი მშობლის მოვალეობასთან ერთად მთელი სიმძიმით ეზიდება საზოგადოებრივ ტვირთსაც. მამაკაცს, ამ შემთხვევაში მეუღლეს, ისტორიულ მოვალეობად აკისრია გაორკეცებული ყურადღება ქალისადმი, იგი მაგარ ბოძად უნდა შეუდგეს ოჯახს და თუ ეს ასე არ იქნა, ოჯახის მთლიანობა დაირღვევა და ამით შეფერხდება მომავალი თაობის სწორი აღზრდის საქმე.

შვილები კარგად გრძნობენ დედისა და მამის ურთიერთობაში სითბოსა თუ სიცივეს, პატივისცემასა თუ უპატივცემლობას. მშობლების აზრი და გონების ყველა ხვეული უჩინარის გზით მიდის ბავშვებამდე. თავშეკავება, მოთმინება, დათმობა საკუთარი გრძნობებისა და განუზომელი სურვილების შეკვეცა, უდიდესი ტაქტი — აი, რა მოეთხოვება ყველა მეუღლეს, ყველა აღმზრდელს თავისი უწმინდესი მოვალეობის აღსრულებისათვის.

**ბაბო მჭედლიძე,**

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

## მთავარია აღზრდა

მე ეჭვი არ მეპარება იმ უცნობი ავტორის კეთილ სურვილებში, რომელმაც რედაქციას წერილი გამოუგზავნა ფსევდონიმით — „სიდედრი-დედამთილი", მაგრამ მის ზოგიერთ აზრს ვერ დავეთანხმები. მართალია, არიან ქალები, რომლებიც ბევრს სცოდავენ ოჯახურ ურთიერთობაში, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქალებს ვუქადაგოთ მამაკაცებისადმი მონური მორჩილება, ვუთხრათ, რომ მის მთავარ საზრუნავს მამაკაცის სამსახური შეადგენს.

ხშირად ამბობენ, რომ მამაკაცებს არ ეხერხებათ ეგრეთწოდებული „ქალის საქმე" — კერვა, საჭმლის მომზადება და სხვა. მაგრამ განა ეს დასაჯერებელია? განა საზოგადოებაში არ ვხვდებით საუკეთესო მამაკაც მკერავებს, მზარეულებს, ოფიციანტებს? ხშირად კი იგივე მკერავი, რომელსაც მამაკაცის ასობით საუკეთესო ტანსაცმელი აქვს შეკერილი, ოჯახში ღილის დასაკერებლად პერანგს მეუღლეს მიუგდებს; თუ მეუღლე სახლში არ არის, ზოგი მზარეული ამჯობინებს მშიერი დაწვეს, ვიდრე საჭმელი მოამზადოს. კიდევ მეტი, თუ მეუღლემ კარადიდან საჭმელი არ გამოუტანა, ზოგიერთი ოფიციანტი იმის შიშით, რომ მას მოუხდება საჭმლის გამოტანა, ამჯობინებს სულაც არ ისადილოს. განა ეს სასაცილო არ არის?

ვთქვათ, ცოლი ავად გახდა და მის გამოსაჯანმრთელებლად დიდი ხნის მკურნალობაა საჭირო. მის გარდა კი ქალი ოჯახში არ არის. ნუთუ ამ შემთხვევაში მამაკაცი თავის შვილებთან ერთად სასადილოს მუდმივი სტუმარი უნდა გახდეს? ეგ კიდევ არაფერი. ხომ საჭიროა გარეცხვა, დასუფთავება. ვინ უნდა გააკეთოს ეს ყველაფერი? ამ შეკითხვაზე პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ყოველ მამაკაცს უნდა შეეძლოს და არ უნდა ეთაკილებოდეს იმის გაკეთება, რასაც ოჯახური ცხოვრება მოითხოვს. ყოველი მამაკაცი მეუღლეს მხარში უნდა ამოუდგეს ოჯახური საქმეების შესრულებაში.

ზოგიერთს ეს შეიძლება უჩვეულოდ მოეჩვენოს. მაგრამ ყოველივე ახალი ყოველთვის უჩვეულოა, რადგან იგი იმის საწინააღმდეგოა, რაც საუკუნეთა განმავლობაში ნორმალურად ითვლებოდა. იგი უცხოა სხვა ჩვეულებრივ მოვლენებთან შედარებით და მას ყველა როდი ეკიდება პატივისცემით.

ჩვენი მოვალეობაა გულხელდაკრეფილი არ ვისხდეთ, ბრძოლა გამოვუცხადოთ ყოველივე დრომოჭმულს და წავახალისოთ ახალი. ოჯახური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ აზრს. თქმა არ უნდა, მას ბევრი მამაკაცი გაუწევს ანგარიშს. მთავარია აღზრდა. განსაკუთრებით კი მომავალ თაობას უნდა ჩავუნერგოთ ახალ ურთიერთობათა ჩვევები. ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია შეიქმნა სოციალისტური ოჯახი, მაგრამ იგი სულ მუდამ განვითარების პროცესში იმყოფება. მასში თანდათან ქრება ძველი, დრომოჭმული და ჩნდება ახალი, პროგრესული სოციალისტური ოჯახის უმაღლესი საფეხური — კომუნისტური ოჯახი. მისი შექმნა ჩვენში უკვე დაიწყო. იგი იქმნება იმ ოჯახურ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით, რომელთა შესახებ ბევრი იწერება ჩვენს პრესაში. ახალი კომუნისტური სიო უკვე შეიჭრა ოჯახურ ურთიერთობაში. ყოველი მამაკაცი ვალდებულია მხარში edges თავის მეუღლეს ოჯახურ საქმიანობაში. და თუ მის შეგნებაში იმდენად გამჯდარა ძველი ტრადიციები, რომ ამას ვერ შესძლებს, დააფასოს მაინც ქალის მისდამი უანგარო სამსახური.

**ვახტანგ ჩხარტიშვილი,**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი.

## ტკბილი სიტყვით

უცნობო მეგობარო, თქვენი გულისტკივილი ჩემთვის გასაგებია: ორივენი მსახურობთ, თქვენ უფრო ადრე მოდიხართ სამსახურიდან, ქმარი კი უფრო გვიან. გული გწყდებათ, რომ საოჯახო საქმეებს მარტო აკეთებთ.

...მე ბევრჯერ ასე მოვქცეულვარ: როცა საოჯახო საქმე ბევრი მქონდა, მოვეფერებოდი ქმარს ტკბილი სიტყვით, მასაც მოვიხმარებდი და ორივენი მალე მოვრჩებოდით საქმეებს. ჯინში ჩადგომა არაა კარგი და დამერწმუნეთ არც არაფერს მოგცემთ გულის ხეთქვის და მწუხარების მეტს. უნდა ეცადოთ მეგობრულად და ტკბილი სიტყვებით მოიგოთ ქმრის გული და თანდათანობით ისიც გადაეჩვევა...

**ი. ჯლამაია,**

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის კოლმეურნეობის მოანგარიშე.

# თურქეთის გზებზე



ნახატი ა. ბელიუკინისა

**პ. ნატალინი**

რა მიმზიდველად გამოიყურება ეს ქვეყანა, როცა მას გემბანიდან გაჰყურებ! ფსტას და ტყის თხილის რაყა, ჩაისა და თამბაქოს პლანტაციები, ხეხილის ბაღები, აშოლტილი კიპარისები, დატოტვილი პალმები მარმარილოს, ეგეოსისა და ხმელთა შუა ზღვების სანაპიროებზე... ზღაპრული ქვეყანაა!

მაგრამ აი იმოგზაურებ თურქეთში, ახლოს გაეცნობი ხალხის ცხოვრებას და თითქოს აღარც არსებობს ეს მშვენიერი ბუნება.

განსაკუთრებით მძიმეა თურქი ქალების ხვედრი. მინდვრის სამუშაოების ცხარე დღეებში შთაბეჭდილება გრჩება, რომ ქალები მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ. ისინი იღებენ ბამბის, სიმინდის, მზესუმზირას, თამბაქოს, ხილის მოსავალს. სოფლურ სახლებში, თიხით შელესილ ქოხმახებში ქალებს ყოველთვის ნახავთ საქსოვ ან სართავ დაზგებთან.

ერთხელ მე და ჩემს თანამგზავრებს მანქანა გაგვიფუჭდა და იძულებული გავხდით შევჩერებულიყავით პატარა სოფელში, რომელიც აღმოსავლეთ ანატოლიაში, თავრის მთებშია გადაკარგული. ეს სოფელი არაფრით არ განსხვავდება სხვებისაგან — ღარიბი და ღატაკია, როგორც სხვა ათასი.

სოფლის მამასახლისი ბუხრან იშიკი, ხანშიშესული, ულვაშაპრეხილი კაცი, თავაზიანად შეგვეგება. მაგრამ, როცა ვთხოვეთ დაგვხმარებოდა თავშესაფარი გვეშოვნა ერთი-ორი დღით, ვიგრძენით, რომ გასაჭირში ჩავაგდეთ.

— ჩვენს სოფელში ცოტათ თუ ბევრად ხეირიანი მხოლოდ ორი სახლია, — თქვა მან, — ბაის და მოლას სახლები. მაგრამ ნამდვილად ვიცი, ისინი არ მიგიღებენ. — დაფიქრდა და დაუმატა: — მოდით, სკოლაში დაგაბინავებთ. მასწავლებელსაც ესიამოვნება. საცოდავი საშინლად მოწყენილია ამ ჩვენს ბუნაგში.

— ეს არის სკოლა? — უნებურად აღმომხდა, როცა გრძელ მიწურთან აღმოვჩნდით, რომელსაც პაწაწინა ფანჯრები ჰქონდა დედამიწის ზედაპირის დონეზე.

მოგვეგება ახალგაზრდა შავთვალწარბა მასწავლებელი ქალი სელმა კეთიბოღლუ.

სამი დღე გავატარეთ სკოლაში. დაუზარებლად ვპასუხობდით სელმას გაუთავებელ შეკითხვებზე ჩვენი ქვეყნის ცხოვრების შესახებ. ზოგჯერ, როცა გაზის ნათურით განათებულ პატარა მიწურ ოთახში შევიკრიბებოდით და თურქულად მომზადებულ მაგარ ყავას ვსვამდით, ჩვენ ვუსმენდით სელმას ნაღვლიან თხრობას.

სელმა უკვე ხუთი წელია, რაც აქ ასწავლის, იგი მძიმედ ყვებოდა, სიტყვებს ისე წელავდა, თითქოს მოთქვამდა. მაგრამ დროდადრო ქალიშვილი ხმას მრისხანედ აიმაღლებდა და მაშინ ყოველ წინადადებას ასე ამთავრებდა:

„განა შეიძლება ასე ცხოვრება?“,

მისი ნაამბობი ჩემს სახელდახელო ჩანაწერებს შემორჩა.

— ჩვენი გლეხები ძალიან ღატაკები არიან, — ამბობდა სელმა, — იმდენად ღატაკები, რომ ვერც კი აგიწერთ. ყველას ერთი რამ აწუხებს: სიღარიბე და შეურაცხყოფა, რომელსაც მათ ბაი და გადასახადების ამკრეფნი აყენებენ. ალბათ, გაგიკვირდებათ, რომ ჩვენს სოფელში ზოგიერთ გლეხს საკუთარი არაფერი გააჩნია. წარმოიდგინეთ, ხის ტახტიც კი ბაის ეკუთვნის. იოგურტი და პური მათი ერთადერთი საკვებია. თუმცა არც პური ყოფნით. მთელი მიწები ხომ ბაის და მოლას ეკუთვნით. გლეხები მათ მოჯამაგირეებად უდგანან და ვალებს თავს ვერასოდეს აღწევენ. ფაქტიურად ისინი მონები არიან.

ჩვენი ბავშვები ისე იზრდებიან, რომ შაქრის გემოც კი არ იციან. ჩვენს სოფელში ჯერ არავის უნახავს ნამდვილი ექიმი; გლეხებს წარმოდგენაც კი არა აქვთ რა არის კინო, გაზეთი. რადიომიმღები? ის ხომ მხოლოდ ბაის და მოლას აქვთ.

შეხედეთ ჩვენს ქალებს, ბავშვებს. მათ სახეები ჩამოსტირით, ხოლო თვალებში შიში, მორჩილება და ამავე დროს რაღაც გულგრილობა და უმიზნობა ჩამდგარა. ან რა უნახავთ კარგი? ყველას ერთი ხვედრი აქვს — ხუთი წლის ასაკიდან აუტანელი შრომა. განათლება? თურქი ქალების ოთხმოცდათხუთმეტ პროცენტზე მეტი წერაკითხვის უცოდინარია, ხოლო ნახევარ მილიონზე მეტ ბავშვს არა აქვს შესაძლებლობა, რომ ისწავლოს. არ არის საკმარისი სკოლები. ბავშვებს არა აქვთ ტანსაცმელი, სახელმძღვანელოები.

მე ყველაზე უფრო მაღშფოთებს ქალებისადმი დამოკიდებულება, რომელიც დამყარებულია ძველ შეხედულებებზე. ეს შეხედულებები ანდაზებშიც კია გამოსახული: „ცოლისთვის ჯოხი ყოველთვის კარებთან გქონდეს“, „არ დაუჯერო ცოლს, ცხენს

9021

და ძაღლს", „ცოლი მართალიც რომ იყოს, მამაკაცი თუ დაეთანხმა, ის კაცი არ არის".

ქალიშვილს უფლება არა აქვს თვითონ აირჩიოს საქმრო. ქორწინების ღამემდე იგი ვერ ხედავს მას. ქალიშვილებს კი არ ათხოვებენ, არამედ ჰყიდიან, ჰყიდიან 13-14 წლის ასაკში და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ყალიმი აიღონ.

ახლა მოლები მოითხოვენ, რომ ქალებმა კვლავ ატარონ ჩადრი. მათი აზრით გოგონების სწავლა მომაკვდინებელი ცოდვაა. ძველებური წესის მიხედვით მრავალცოლიანობა ხშირი შემთხვევაა.

— წარმოიდგინეთ, — სელმას ხმაში აღშფოთება ისმის, — ახლა ქალიშვილებს წონით ჰყიდიან. ქალწულის ერთი კილო ხორცი (ეს პირდაპირ საშინელებაა!) შეფასებულია სამას-ექვსას ლირად.

ამას წინათ შეფიკ ერდურმა, ჩვენი სოფლის მრავალშვილიანმა ღატაკმა გლეხმა, გამვლელ ვაჭარს მიჰყიდა თავისი 14 წლის ქალიშვილი გიუზელი, კილოგრამი 500 ლირად.

განა გაემტყუნებათ გიუზელის მშობლებს? ალბათ, გაჭირვებამ ჩაადენინა ეს საშინელება. მათ ხომ შიმშილით სიკვდილისგან უნდა ეხსნათ ექვსი მომდევნო ბავშვი.

— როდემდე უნდა იყოს თურქი ქალის ცხოვრება ასე აუტანელი? ვინ დაიცავს მის ინტერესებს? მეჯლისში და მთავრობაში ხომ არცერთი მუშა ან გლეხი არ არის! ჩვენი გლეხები კი მიწაზე ოცნებობენ. მათ ყველას ერთი სურვილი აქვთ: მცირეოდენი ნაკვეთი მაინც მიიღონ საკუთარ მფლობელობაში. ეს რომ მოხდეს, დარწმუნებული ვარ, თურქი ქალის ნაღვლიანი თვალები სიხარულისა და იმედის ნაპერწკლით აინთებოდა. გლეხებს მოთმინება ელევათ. ხომ არ შეიძლება, რომ ადამიანი პირუტყვზე უარესად ცხოვრობდეს!

— ნახეთ, აუცილებლად ნახეთ რა პირობებში ცხოვრობენ გლეხები! — გვთხოვდა სელმა.

ჩვენ მართლაც საკუთარი თვალით ვნახეთ ბევრი რამ, რაზედაც სელმა გვიამბობდა. გლეხების საცხოვრებლები ნახევრად კლდეშია ჩადგმული და უფრო პირველყოფილი ადამიანის გამოქვაბულს ჰგავს, ვიდრე თანამედროვე ადამიანის საცხოვრებელს. ამის შემყურეს გამახსენდა ნახატი, რომელიც გაზეთ „ჯუმხურიეთში" იყო მოთავსებული: ღამის ცაზე საბჭოთა თანამგზავრი მიჰქრის, ხოლო მიწურის ზღურბლზე დგას პირველყოფილი ადამიანი ჭრაქით ხელში და ცდილობს კარგად დაინახოს ეს ციური სასწაული. მაშინ მეგონა, რომ მხატვარმა გადააჭარბა. მაგრამ არა! სწორედ ასეთი საცხოვრებლები ვნახეთ თურქეთის სოფლებში. ზამთარში ადამიანები და პირუტყვი ერთად ცხოვრობენ. მათ ერთი მაყალი ათბობთ.

გაჭირვება... არა, უფრო სწორედ სილატაკე მეფობს დღევანდელ თურქეთში.

გამომშვიდობებისას ახალგაზრდა მასწავლებელს, რომელსაც თურქი გლეხის ტრაგედია საკუთარ ტრაგედიად მიაჩნია, ბედნიერება და უკეთესი მომავალი ვუსურვეთ.

— მე ვფიქრობ, რომ დადგება, აუცილებლად დადგება უკეთესი დღეები. ხალხს ეს სურს! — თქვა დარწმუნებით სელმამ.

ჟურნალი „სოვეტსკაია ჟენშჩინა".

САИНТЕРЕСО — 

საინტერესო თემაზე

# დანა-ჩანგლის ისტორიიდან

დანას გაცილებით უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს, ვიდრე ჩანგალს. ის ცნობილია ჯერ კიდევ კაცობრიობის კულტურის პირველყოფილ პერიოდში. დანა იყო როგორც შრომის, ასევე თავდაცვისა და თავდასხმის იარაღი. მისგან განვითარდა შემდეგ სხვადასხვა საომარი (ხანჯლები, შუბები, ხმლები და სხვა.) და სამეურნეო იარაღები (ცელი, ნამგალი, ცული, ნაჯახი და სხვ.), აგრეთვე სამართებლები, მაკრატლები, საოპერაციო დანები და სხვა.

დანებს აკეთებდნენ ქვისაგან, სპილენძისაგან, ბრინჯაოსაგან, რკინისაგან.

დანამ დიდი ხანია მიიღო თავისი ახლანდელი ფორმა. უკვე მე-16 საუკუნის ბოლოს იტალიურ დანებს უკეთდება მშვენიერი სახელურები.

დანის ხარისხის გაუმჯობესება დაიწყო მას შემდეგ, რაც ცნობილმა რუსმა მეტალურგმა ანოსოვმა მიიღო მაღალხარისხოვანი დამასკის ფოლადი. ჩანგალი კი შუა საუკუნეებშიაც არ ყოფილა ცნობილი. ადამიანები ჭამის დროს საკუთარი თითებითაც იოლად გადიოდნენ.



დანა-ჩანგალი, როგორც ჭამისათვის საჭირო ნივთი, ხმარებაში შემოდის XV საუკუნიდან. მართალია, ჩანგლის შესახებ პირველი ცნობა XI საუკუნეს მიეკუთვნება, მაგრამ ჩანგალი მაშინ ფუფუნების საგნად ითვლებოდა. მხოლოდ XVII საუკუნიდან მოიპოვა დანა-ჩანგალმა ფართო გავრცელება.

ჩანგლის გამოგონებისა და გავრცელების კერად მიჩნეულია იტალია, თუმცა თვით ვენეციის ქრონიკებში არის ცნობა იმის შესახებ, რომ იტალიელებმა ჩანგალი პირველად იხილეს ბიზანტიის იმპერატორის ქალიშვილის ხელში, რაც გადმოცემულია კონსტანტინოპოლის იმპერატორის ქალიშვილისა და ვენეციის დოჟის დომენიკო სელვოს საქორწილო ცერემონიალის აღწერაში. სუფრაზე პრინცესას ბრძანებით ჭრიდნენ კერძებს და აწოდებდნენ მას ოქროს კოვზებითა და ჩანგლებით. ქალაქელებმა მიბაძეს ბიზანტიელ პატარძალს და ჩანგლის ხმარება თანდათან დამკვიდრდა იტალიაში. მაშინდელი ჩანგლები ორკბილიანი იყო.

იტალიიდან ჩანგალი გავრცელდა საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, ესპანეთში, ავსტრიაში და შემდეგ — მთელს ევროპაში.

საფრანგეთში ჩანგალი მოხსენებულია კარლოს V ვერცხლის ჭურჭლეულობათა სიაში (1379 წელი). მაგრამ, როგორც ჩანს, ჩანგალი მაშინ „ახალი ხილი" უნდა ყოფილიყო. როგორც კარლოს V-თან პომერანიელი ჰერცოგების მიერ მიგზავნილი ბათლომე ზასტროვი იუწყება, თვით იმპერატორი ხმარობდა მხოლოდ დანას, „რომლითაც სჭრიდა პურს. კერძებს ხელით ხლეჩდა და ჭამდა პირველყოფილი ადამიანივით".

ჩანგალი საფრანგეთში დიდხანს ითვლებოდა ფუფუნების საგნად.

უფრო გვიან (1608 წ.) გავრცელდა ჩანგალი ინგლისში. ინგლისში ჩანგლის შეტანას მიაწერენ მოგზაურ თომას კორგატს. 1624 წლის ვენის სამეფო კარის ბრძანების მეოთხე მუხლში, რომელიც უმცროს ოფიცრებს ეხებოდა, ნათქვამი იყო: „დაუშვებელია ჯამში ხელების ფათური და ძვლების დაყრა მაგიდის ქვეშ..."

ესპანელები 900-იან წლებამდე ვერ შეეგუენ დანა-ჩანგალს. ხოლო თურქები, ინდოელები და აზიის ხალხთა უმრავლესობა დანა-ჩანგლებს არ ხმარობდნენ. ინდოელები დღესაც დანა-ჩანგალს პატივისცემის ნიშნად მარტო სტუმრებს თუ მიაწვდიან ხოლმე. ჩინელები და იაპონელები ჭამის დროს უძველესი დროიდან ხმარობენ, და დიდი ოსტატობითაც, ხის ჩხირებს.

რუსეთში ჩანგლის მასობრივი გავრცელება დაიწყო პეტრე 1-ის დროიდან. მანამდე ჩანგალი აქაც ფუფუნების საგანი იყო. შემონახულია მეფე ალექსი მიხეილის ძის სამკბილიანი ვერცხლის ჩანგალი, მეტად მდიდრული ნაკეთობითა და ჩუქურთმებით მორთული.

ს. ედიგარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინგლისური იუმორი

ნახატები ლ. შენგელიასი



ამერიკელი ჯარისკაცი ლონდონში გაუთავებლად ყვებოდა კლდოვანი მთების სიდიადეზე.

— ძალიან კი ტრაბახობ შენი მთებით. — უთხრა ლონდონელმა.

— რატომაც არა, — უპასუხა ამერიკელმა. — მე ჩემმა წინაპრებმა შემაყვარეს ისინი.

— შენ ოდესმე გსმენია რაიმე მკვდარი ზღვის შესახებ?

— რა თქმა უნდა. მე ყველაფერი ვიცი მკვდარი ზღვის შესახებ.

— მაშინ ისიც გეცოდინება, რომ ის კაცი, რომელმაც მოკლა ის ზღვა, ბაბუაჩემი იყო.

ინგლისურიდან თარგმნა
მერი მახარაშვილმა

ქ ა ლ ი (ხალხით გადატვირთულ ავტობუსში თავის მეგობარს) — ნეტავი ერთი ლამაზი მამაკაცი დამითმობდეს ადგილს.

ხუთი კაცი ადგა.

* * *

ჯონი ყოველ საღამოს ბრაუნის ქვრივთან მიირთმევდა ჩაის.

— რატომ არ შეირთავ მას? — შეეკითხა მეგობარი.

— მე ბევრჯერ მიფიქრია მაგ საკითხზე... მაგრამ მერე სადღა გავატარო საღამოები?



მატარებელში, ლაპარაკის მოყვარული კაცი თავის გვერდში მჯდომ ქალს მიმართავს:

— შვილები გყავთ?

— დიახ, სერ.

— რამდენი?

— ერთი ვაჟი.

— თამბაქოს ხომ არ ეწევა?

— ჯერ ხელითაც არ შეხებია თამბაქოს.

— მით უკეთესი. თამბაქო სწამლავს ორგანიზმს. არც სვამს?

— არა, სერ, ჯერ წვეთიც არ გაუსინჯავს.

— მომილოცავს! ღამე გვიან იძინებს?

— არა. სადილის შემდეგ წვება.

— მომილოცავს, სამაგალითო ვაჟი გყოლიათ. რამდენი წლისაა?

— ოთხი თვე შეუსრულდა დღეს, სერ

* * *

— შეწუხებული ხარ სტუმრებისაგან?

— ძალიან.

— მოდი, სცადე ჩემი ხერხი. როცა ზარს დარეკავენ, მე ვიცვამ ხელთათმანებს და ვიხურავ ქუდს. თუ სტუმარი არასასურველია, ვამბობ: „ძალიან ვწუხვარ, მაგრამ სწორედ ახლა გავდიოდი სახლიდან“. თუ სტუმარი სასურველია მე ვამბობ: „სწორედ ბედზე, ამ წუთში შემოვდგი ფეხი სახლში“.

* * *

როდესაც ჩარლი პირველად მივიდა სკოლაში, მასწავლებელმა გვარი და სახელი ჰკითხა.

— ჩარლი.

— მხოლოდ ჩარლი?

— დიახ, დამიძახეთ უბრალოდ „ჩარლი“, — უპასუხა მან.

## კარგი რჩევა

— როგორ ფიქრობთ, მივცე უფრო მეტი ცეცხლი ჩემს პოემებს?

— არა, მე ვფიქრობ უფრო მეტი პოემები უნდა მისცეთ ცეცხლს!



## მას აარჩევინეს

— ჯონ, მე ვხედავ, რომ შენმა დამ აიღო პატარა ვაშლი. შენ აარჩევინე, როგორც მე გითხარი?

— დიახ, მე ვუთხარი, რომ მას შეუძლია აიღოს პატარა ვაშლი, ან სულ არ აიღოს, და მან აირჩია პატარა ვაშლი.

## რატომ დაიგვიანა

დ ე დ ა: რატომ დაიგვიანე სკოლის შემდეგ?

შ ვ ი ლ ი: იძულებული ვიყავი დამეგვიანებინა, მასწავლებელმა დამსაჯა, რადგან არ ვიცოდი, სად არის რეინი.

დ ე დ ა: ასეთი ხარ შენ, არასოდეს არ იცი სად დებ საგნებს.

ინგლისურიდან თარგმნა
იზოლდა ჩხარტიშვილმა



მოდელი ესტონეთიდან

„ვტაე ვონ კოიტა“

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## მცირეწლოვან ბავშვთა მუსიკალური აღზრდა

სმენა ბავშვს დაბადების პირველი დღეებიდანვე უვითარდება. მაღალი და მკვეთრი ბგერების გაგონებისას იგი შეშინდება და ტირილს იწყებს, დაბალ, მელოდიურ ხმას კი ყურს უგდებს, ზოგჯერ კმაყოფილებასაც გამოხატავს თავისებურად — იღიმება, ღუღუნებს.

ბავშვის ყურადღებას მუსიკალური ბგერებიც იპყრობენ. ნაზი, წყნარი მუსიკა მას ამშვიდებს, ჩქარი-აღაგზნებს, იწვევს ნაირნაირ მოძრაობას. ხუთი-ექვსი თვის ბავშვი, როცა მხიარულ საცეკვაო მუსიკას გაიგონებს, ხტუნვას იწყებს, ხელში აღარ ჩერდება. იგი არამარტო ანსხვავებს, არამედ უპირატესობასაც ანიჭებს ამათუიმ მელოდიას. მაგალითად, ოთხი თვის მიშა, იმ სიმღერებიდან, რომელსაც მას ბებია უმღერის, ყველაზე მეტ „ინტერესს“ იჩენს „იფრინეთ მტრედებოს“ დასაწყისისადმი. ამ სიმღერის წყნარი, მონარნარე ბგერები ბიჭს ღიმილს გვრის და თვითონაც ცდილობს თავისი ხმით რაღაც გამოხატოს.

ბავშვები პირველ ტიკტიკთან ერთად იწყებენ სიმღერის მიბაძვას, იღებენ სხვადასხვა სიმაღლის ცალკეულ ბგერებს. ამ დროს ხშირად შეიმჩნევა თუ როგორ ანანავებს პატარა თავისთავს, დედის თუ ძიძის მიერ ნამღერი ძილისპირულის შემდეგ როგორ რიტმულად იმეორებს: „ა-ა-ა-ა; ა-ა-ა-ა!“



ექვსი თვის ბავშვი წყნარად წევს საწოლში. იგი კარგ გუნებაზეა. შესცქერის საწოლზე ჩამოკიდებულ სათამაშოებს და ხან „მღერის“ და ხან ღუღუნებს. აი მან ხელი წაატანა ჟღარუნას, გაიქნია და ხმა ააყოლა.

მეორე წელში გადამდგარი ბავშვის მიდრეკილება მუსიკისადმი აშკარად შესამჩნევი ხდება. ამ ასაკში ბავშვები ხალისით უსმენენ სიმღერას, სიამოვნებით ცეკვავენ მუსიკის ტაქტზე. წლინახევრის ლიონია მხიარულ მელოდიას რომ გაიგონებს, თავს ანებებს საყვარელ სათამაშოებს და იწყებს ხტუნვას, ფეხების ტყაპუნს. ის უკვე ხვდება ნაცნობ მელოდიას. დილით მამასთან მიდის და სთხოვს:

— იმღერე!

როცა დედა პიანინოს მიუჯდება, ბავშვი მის გვერდით მოიკალათებს და ამღერდება — „ღიღინებს“, როგორც დედა ამბობს.

ცხადია, ორი წლის ბავშვს უძნელდება მელოდიის სწორად გადმოცემა, მაგრამ სიმღერის რიტმულ მხარესა და სიტყვებს იგი მშვენივრად გადმოსცემს. არიან ამ ასაკის ისეთი ბავშვებიც, რომლებიც სწორად იმეორებენ როგორც მარტივი, ასევე შედარებით რთული სიმღერის მელოდიებს.

ხშირად ბავშვები უფროსებს აოცებენ მუსიკალური მეხსიერების ადრეული განვითარებით. პატარა საშა, რომელიც წლისა და რვა თვის იყო, ყველა პოპულარულ სიმღერას მიამღერდა ხოლმე სიტყვებს (იგი ამ სიმღერებს რადიოთი ისმენდა), მათ შორის არჩევდა ი. დუნაევსკის სიმღერას; „ცხოვრობდა მამაცი კაპიტანი“, განსაკუთრებით უყვარდა მისამღერი: „კაპიტანო, კაპიტანო, გაიღიმეთ...“

მუსიკალური მეხსიერებისა და მუსიკალური გემოვნების ასე ადრეულ განვითარებას ხელს უწყობს რადიო და ტელეხედვა. ხშირად უფროსთა შეუმჩნევლად ბავშვს უგროვდება მუსიკალური შთაბეჭდილებანი და უვითარდება ინტერესი მუსიკისადმი. თუმცა ოთახში, სადაც ბავშვი იმყოფება, თუ განუწყვეტლივ ხმაურობს რადიო, მას სმენა თანდათანობით თითქოსდა უჩლუნგდება. ასეთ შემთხვევაში რადიო მუსიკალური სმენის განვითარების საშუალებიდან ამ განვითარების მუხრუჭად გადაიქცევა.

როგორ განუვითაროთ ბავშვებს მუსიკალური ნიჭი? ბავშვთა მუსიკალური აღზრდა სამ ელემენტს შეიცავს: მუსიკის მოსმენას, სიმღერას და მუსიკის თანხლებით მოძრაობას.

დაბადების პირველი თვეებიდანვე ბავშვი უნდა შევაჩვიოთ მუსიკის მოსმენას. პირველად ბავშვი უსმენს ჟღარუნას, როიალის, ბაიანის და სხვა მუსიკალური საკრავის ხმებს. თანდათანობით ამას ემატება დედის სიმღერა. იშვიათია დედა თავის შვილს რომ არ უმღეროდეს. დედის სიმღერით ყველაზე ადვილად გაიცნობს ბავშვი მუსიკას. რა სიმღერები უნდა ვუმღეროთ ბავშვებს? პატარებს მოსწონთ სიმღერები სათამაშოებსა და ცხოველებზე და ისეთებიც, სადაც თვით მათი სახელები იქნება მოხსენებული. ძალიან კარგია ვუმღეროთ ბავშვებს აგრეთვე ხალხური მელოდიები, საცეკვაოები, შედარებით წყნარი და ნარნარი. ეს ხელს შეუწყობს მათ მუსიკალურ განვითარებას.

როცა დიდები ხშირად მღერიან მარტივ და კეთილხმოვან სიმღერებს ადვილად გასაგები სიტყვებით, ბავშვი იწყებს მათ მიბაძვას, პირველად იმეორებს ცალკეულ მარცვლებს, სიტყვების დაბოლოებას, მერე მთელ სიტყვებს, ფრაზებს და ასე თანდათანობით ეჩვევა სიმღერის ცალკეული სტროფის მღერას. კარგია თუ წლინახევრის-ორი წლის ბავშვი მელოდიის სამ-ოთხ ბგერას მაინც იმღერებს. ნუ ვაიძულებთ პატარებს, თუნდაც მათ შეეძლოთ მელოდიის სწორად გადმოცემა, იმღერონ გარშემომყოფთა გასართობად, უფროსთა სიმღერები. ეს სიმღერები ხომ არ ითვალისწინებენ ბავშვის ხმის შესაძლებლობას, ამასთან მათი შინაარსი სავსებით გაუგებარია პატარებისათვის.

ნორმალურად განვითარებული ბავშვი დიდ ლტოლვას იჩენს მოძრაობისადმი. ზოგიერთი მოძრაობა შეიძლება წარიმართოს მუსიკის თანხლებით. მაგალითად, დედას თამამად შეუძლია ორისამი თვის ბავშვის ფიზკულტურული

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვარჯიში“ აწარმოოს მარტივი მუსიკალური მელოდიის ხმაზე. ექვსი–რვა თვის ბავშვს შეუძლია ტაშის შემოკვრა, თითების ამოძრავება. ხელების დაქნევა. ასეთი მოძრაობანი შეიძლება შესრულდეს საცეკვაო მელოდიის ან სიმღერის ხმაზე.

ახალფეხადგმულ ბავშვს ძლიერ უყვარს ხტუნვა, ფეხების ბაკუნი. კარგი იქნებოდა ეს მოძრაობანი მან შეასრულოს მუსიკის ხმაზე.

მაგრამ აი, ბავშვმა დაიწყო სიარული. ახლა უკვე მასთან, გარდა ცალკეული ფიზკულტურული ვარჯიშისა, შეიძლება ვითამაშოთ მუსიკის თანხლებით. ასეთი თამაშობანი ბევრია. ყველა საბავშვო სიმღერა შეიძლება შეერწყოს ბავშვის მოძრაობას, თამაშს. ალმით სვლა, სირბილი, ხტუნვა და სხვა მთელი რიგი მარტივი მოძრაობანი შეიძლება შევუერთოთ მუსიკას თამაშის ფორმით.

ბავშვთა მუსიკალური აღზრდისათვის შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე ფირსაკრავი და ფირფიტები, საბალეტო და საცეკვაო მუსიკის ნაწყვეტები მოვასმენინოთ მათი საშუალებით. მაგრამ ამ ნაწყვეტების ხანგრძლიობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წუთს.

ნუ გადავტვირთავთ ბავშვს მეტისმეტად მრავალფეროვანი მუსიკითა და სიმღერებით. პატარა სიამოვნებით უსმენს მისთვის ნაცნობ მელოდიას, თამაშობს და ცეკვავს ნაცნობი მუსიკის ხმებზე, რაც უფრო დიდია ბავშვი, მით უფრო ხანგრძლივად უნდა ვავარჯიშოთ იგი მუსიკაში.

მუსიკის ხმაზე სიმღერა და მოძრაობა ბავშვს შესანიშნავად ართობს და ოდნავ აღაგზნებს კიდეც. ამიტომ უმჯობესია ეს მუშაობა ვაწარმოოთ დღის პირველ ნახევარში. წყნარი, ნელი სიმღერა და მუსიკა მას შეუძლია მოისმინოს დღის მეორე ნახევარშიც. ამასთან ძლიერ ფრთხილად უნდა გამოვიყენოთ ფირფიტები, რადიო და ტელეგადაცემები.

საერთოდ ბავშვები მუსიკას სხვადასხვანაირად უდგებიან: ერთნი ადრე ამჟღავნებენ მუსიკისადმი ინტერესს, ყურადღებით უსმენენ მას, იცინიან, ხელებს აქნევენ, ცდილობენ სიმღერით აყვნენ; მეორენი უსმენენ მშვიდად, რამდენადმე დაძაბულადაც. მესამენი თითქოს არ იჩენენ ინტერესს მუსიკისადმი. ჩვენ უნდა მოვძებნოთ მუსიკასთან ბავშვის ურთიერთობის ისეთი ფორმები, რომლებიც მისთვის უფრო საინტერესო და სასარგებლო იქნება. მოძრავ, ნერვიულ ბავშვს უმჯობესია მოვასმენინოთ წყნარი, ნარნარი მელოდია, ნაკლებ მოძრავს კი ისეთი სიმღერა და მუსიკა, სადაც მეტი მოძრაობაა.

ა. ვორონოვა,
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## თმის შეღებვა

თუ რაიმე მიზეზის გამო თქვენ არ გსურთ იხმაროთ ბასმა, შეგიძლიათ ის შეცვალოთ ნატურალური დაფქვილი ყავით. საღებავის მოსამზადებლად საჭიროა 15 გრ ყავა (დაახლოებით სავსე ჩაის კოვზი). ერთ ჭიქა მდუღარე წყალში ჩაყარეთ ყავა და ადუღეთ 5 წუთი. გადმოდგით და მორევით გააცივეთ 65-70 გრადუსამდე, სანამ თანაბარი მასა წარმოიქმნება (ნარევი არაჟანზე სქელი არ უნდა იყოს). შემდეგ ეს ნარევი ფუნჯით წაისვით თმაზე, თავზე შემოიხვიეთ პერგამენტის ქაღალდი, მაგრად შეკარით პირსაწმენდით და არ შეიხსნათ 45-60 წუთის განმავლობაში. შუბლსა და საფეთქლებზე, აგრეთვე უკან, კეფაზე დაიფარეთ ბამბის ფენები, რომ ფაფისებრი სითხე სახეზე არ ჩამოგეწვეთოთ. შეღებვის შემდეგ თმა დაიბანეთ და გადაივლეთ ძმრიანი წყალი (1 სუფრის კოვზი ძმარი 1 ლიტრ წყალზე).

თმა შეიღებება ლამაზ მუქ-წაბლისფრად.

## როგორი საპონი ვიყიდოთ?

როგორც წესი, ჩვენ საპონს ვირჩევთ სურნელების მიხედვით და არ ვფიქრობთ იმაზე, თუ რომელ კანზე როგორ მოქმედებს ეს საპონი. ისინი კი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი შემადგენლობით: ზოგში ტუტეა ბევრი, ზოგში ცხიმი. ამიტომ კანზე სხვადასხვანაირი საპონი სხვადასხვაგვარად მოქმედებს. მაგალითად, სარეცხის საპონი, რომელშიც ბევრია ტუტე, მავნებელია კანისათვისაც და თმისთვისაც, რადგან ტუტე აცლის ცხიმს თმას, აშეშებს და კვეცავს, გარდა ამისა, აღიზიანებს თავის კანს და ქერტლს აჩენს. ამ გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად საპონში ურევენ ლანოლინს (საპონი — „ლანოლინის“), კრემს („კოსმეტიკური“), ვიტამინ „ა-ს“ — (რუსული ტყე).

ზოგიერთ საპონს უმატებენ სპეციალურ წამლეულს, მაგალითად კუპრს (საპონი „კუპრის“), გოგირდს („გოგირდის“), ქაფურს („ქაფურის“), კარბოლის სიმჟავეს („კარბოლის“) და სხვა.

ასეთი სახის საპნებს დეზიფექციური თვისებები გააჩნიათ და კანს აშრობენ. ამიტომ ისინი უნდა იხმაროთ მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით.

დიდი რაოდენობით შეიცავს ტუტეს შემდეგი საპნები: „კვერცხის“, „აბანოსი“, „გლიცერინის“, „საოჯახო“, „ბორის“ და ამიტომ კარგია ცხიმიანი კანის მქონეთათვის.

## ფეხსაცმლის მოვლა

ფეხსაცმელი მალე ფუჭდება ცუდ ამინდში—წვიმაში, ტალახში და ჭყაპში. ამიტომ მას გულდასმით უნდა მოუაროთ. ფეხსაცმელში რომ წყალმა არ გაჟონოს, ამისათვის ხშირად წაუსვით კრემი. სველი ფეხსაცმლის გაშრობა კარგია კალაპოტში, მაგრამ თუ კალაპოტი არა გაქვთ, არსებობს კიდევ სხვა ხელმისაწვდომი საშუალება: ამოავსეთ და გაჭედეთ ფეხსაცმელი გაზეთის ქაღალდით. მაშინ ფეხსაცმლის ძირებიც სწრაფად შეშრება. არ გააშროთ ფეხსაცმელი ღუმელთან ან რადიატორთან —სითბოსაგან ტყავი ხმება და შემდება, ფეხსაცმლის ძირი კი ნაკერებთან იხევა.

ფეხსაცმელი გაძრობისთანავე გაწმინდეთ ნაჭრით ისე, რომ ტყავზე ტალახი არ დარჩეს. როცა ცოტა შეშრება, სქელ ფენად წაუსვით კრემი. 5—10 წუთის შემდეგ გაწმინდეთ ჯაგრისით, მერე კი, რომ კარგად აპრიალდეს—ზამშით ან ხავერდით.

ზამშის ფეხსაცმელს ტალახს გახმობის შემდეგ აცილებენ. იყიდება პატარა რეზინის ჯაგრისები. ეს ჯაგრისი კარგად აშორებს ჭუჭყის ლაქას და ხაოიან ზედაპირსაც არ ტკეპნის.

დატკეპნილი, აპრიალებული ზამშის ფეხსაცმელი გახვიეთ ცოტა ხნით მდუღარე წყალში დასველებულ ტილოში ან ორთქლზე დაიჭირეთ.

ახლა მოდაშია ღია ფერის ფეხსაცმელი. ასეთი ფეხსაცმელი წვიმიან ამინდში არ უნდა ჩაიცვათ, რადგან სველი ფეხსაცმლის ძირებთან ჩნდება მუქი ხაზები, რომელიც ძნელად იწმინდება. დასვრილ ადგილებს წმენდენ ბენზინისა და მაგნეზიის ფხვნილის ნარევით. კარგად წმენდს ღია ფერის ფეხსაცმელს აგრეთვე რძეში შერეული კვერცხის ცილა.

ლაქის ფეხსაცმელს ყინვაში არ ხმარობენ, რადგან ყინვისაგან ლაქი შემდება. ასეთი ფეხსაცმელი არც ტალახში ვარგა. ფეხსაცმელი, რომელსაც არ ხმარობთ, დროგამოშვებით უნდა გაიწმინდოს უმ რძეში დასველებული ტილოთი. ფეხსაცმლის ძალზე გაცრეცილი ადგილი შეიძლება გაიწმინდოს დაჭრილი ხახვით, შემდეგ კი გააპრიალებთ მშრალი ჩვრით. ელასტიურობის შესანარჩუნებლად ლაქის ფეხსაცმელს ხანდახან წმენდენ კასტორის ზეთით, ხოლო თუ ლაქის ფეხსაცმელს ყოველდღიურად ხმარობთ და საკმაოდ გაცვეთილია, მაშინ ისე წმინდეთ, როგორც უბრალო ტყავის ფეხსაცმელი.

ყველა ფერის ფეხსაცმელს შეუძინეთ ცალკე საწმენდი ჯაგრისი. თეთრი კრემი გამოადგება მხოლოდ ღია ფერის ფეხსაცმელს. მუქი ფერის ტყავი კი კარგავს ფერს ღია კრემის ხმარებისას და აღარ პრიალებს.

კულინარია

# ცომეული



## ფენა-ფენა ცომის მომზადება

ფენა-ფენა ცომისაგან შეიძლება გამოაცხოთ ტორტი, ნაპოლეონი, ხაჭაპური, ღვეზელი, ღვეძელა, პიროჟნი და სხვა.

3/4 ჩაის ჭიქა წყალში გახსენით 2 კვერცხი, 1/3 ჩაის კოვზი მარილი და მჟავა (ლიმონის, ძმრისა და სხვა) — 5-10 წვეთი.

2 1/2 ჩაის ჭიქა პურის ფქვილი გაცერით სუფთა ფიცარზე, გაუკეთეთ ჩაღრმავება, დაასხით ზედ წინასწარ გამზადებული წყალი (კვერცხით, მარილით და მჟავათი), კარგად მოზილეთ და მიეცით გუნდის სახე. მიღებული ცომის გუნდა ცოტათი ჩაჭერით ორ ადგილას ისე, რომ წარმოიქმნას ოთხი წვეტი; ამის შემდეგ 400 გრ კარაქი თანდათანობით აზილეთ 1/2 ჩაის ჭიქა პურის ფქვილით. როცა ნახავთ, რომ კარაქი პურის ფქვილში კარგად აიზილა, გააბრტყელეთ ცოტა მოსქოდ და ცალკე დადეთ.

ცომის გუნდას, რომელსაც ოთხი წყვეტი აქვს, მოჰკიდეთ ხელი წვეროებში, გადასწიეთ და მიეცით ცოტა მოგრძო ფორმა. გადაწეულ ცომს ზემოდან პურის ფქვილი არ უნდა მოაყაროთ, ისე გააბრტყელეთ ერთნახევარ-ორი თითის სისქედ. ამ ცომის ერთ ნახევარზე მოათავსეთ წინასწარ გამზადებული ფქვილიანი კარაქი, გადმოკეცეთ ზედ ცომის მეორე ნახევარი ისე, რომ კარაქი სრულიად არ ჩანდეს და შეაერთეთ ცომის ბოლოები. მიღებული კარაქიანი ცომი ისე გააბრტყელეთ, რომ უსწორმასწორო ნაპირები არ ჰქონდეს და მიეცით სწორკუთხედის ფორმა (გაბრტყელებული ცომი ერთი-ერთნახევარი თითის სისქე უნდა იყოს). შემდეგ ცომის მოპირდაპირე ბოლოები გადმოკეცეთ ორივე მხრიდან ისე, რომ შუა ადგილას ერთმანეთს შეხვდნენ. შემდეგ ეს გადაკეცილი ცომის ბოლო მოათასვეთ მეორე ე. ი. მის მოპირდაპირე ბოლოზე. ამრიგად დაკეცილი ერთი მთლიანი ცომი თუნუქის ფურცელზე მოათავსეთ, დახურეთ ზედ ცივ წყალში დასველებული და შემდეგ მაგრად გაწურული სუფთა ტილო და ნახევარი საათით გრილ ალაგას მოათავსეთ. მერე ცომი ფიცარზე გადმოიღეთ, გააბრტყელეთ და ისევ გადაკეცეთ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მოათავსეთ თუნუქის ფურცელზე, დაახურეთ გაწურული ტილო და გააჩერეთ კიდევ ნახევარი საათი. ასე მოიქეცით სამ-ოთხჯერ და ფენა-ფენა ცომი მზად იქნება.

ფენა-ფენა ცომი რომ კარგი გამოვიდეს, ამისათვის საჭიროა შემდეგი წ ე ს ე ბ ი ს დ ა ც ვ ა:

ცომის მოზელვა უნდა ხდებოდეს გრილ შენობაში.

ცომის მოსაზელად არ იხმაროთ გამტკიცული ფქვილი პიპკი („კრუპჩატკა“).

გამოცხობის წინ ცომი უნდა გააცივოთ და არავითარ შემთხვევაში არ გაყინოთ.

გამოსაცხობად ცომი მოათავსეთ ცივი წყლით დასველებულ ყალიბში ან თუნუქის ფურცელზე და არავითარ შემთხვევაში არ წაუსვათ ცხიმი.

თუნუქის ფურცელზე ან ყალიბში მოთავსებული ცომი ადგილ-ადგილ დანის წვერით ჩაჩხვლიტეთ და შემდეგ შედგით ჰაერღუმელში გამოსაცხობად.

თუ გამოსაცხობ ცომს ზემოდან კვერცხს წაუსვამთ, ისე წაუსვით, რომ არ მოახვედროთ ცომის კიდეებს, რადგან ნაპირები შეიწებება და ცომი არ აიწევა.

ცომი ცივადვე მოათავსეთ გამოსაცხობად ცხელ ჰაერღუმელში, რომ ცხიმმა ვერ მოასწროს გალღობა.

თამარ სულაქველიძე

გარეკანზე —
„ახალწელს — ახალი გამარჯვებები“
მხატვარი ლ. შენგელია

რედაქტორი თ. აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XII-62 წ. ქაღალდის ზომა 60×92, ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75.
პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71.
ტირაჟი 50.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 2330 უე 03437

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали“.
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ზამთარი ბორჯომის ხეობაში




ИНДЕКС
76177